გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 29
(11 383)

11 – 13 აპრილი, 2000 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მოგილურის ტალღაზეა უნგრეთი

# ემზარ ბედინეიშვილი ევროპის ჩემპიონია

### კიდევ ერთი პრიზიორი და ორი ლიცენზია





ემზარ ბედინეიშვილი

ბუდაპეშტში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც, როგორც ვიუწყებოდით, ჩემპიონატს წინ უსწრებდა სალიცენზიო ტურნირი. სოხუმელმა გურამ მჭედლიძემ სიდნეის საგზური რომ გაინაღდა, „ლელოს" წინა ნომერში ვწერდით. შემდეგ ბრძოლაში ჩაება გორელი ოთარ თუშიშვილი (58 კგ), რომელმაც ისევე, როგორც მჭედლიძემ, პირველობა და ლიცენზია მოიპოვა.

ამის შემდეგ დაიწყო ევროპის ჩემპიონატი, სადაც განსაკუთრებით ისახელა თავი თბილისელმა ემზარ ბედინეიშვილმა (69), რომელმაც კონტინენტის ჩემპიონის წოდება პირველად მოიპოვა. შარშანდელ ჩემპიონატში იგი მესამე პრიზიორი იყო, მსოფლიო პირველობაზე – მეოთხე. სასიხარულოა, რომ ემზარი ევროპის ჩემპიონი სწორედ ოლიმპიურ თამაშებამდე რამდენიმე თვით ადრე გახდა. სალიცენზიო ტურნირის მოგების შემდეგ გურამ მჭედლიძე ჩემპიონატში ჩაება და კონტინენტის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, რაც ასევე პირველი დიდი წარმატებაა მის სპორტულ ბიოგრაფიაში. სამწუხაროდ, წარუმატებლად იასპარეზეს ბუდაპეშტში ჩვენმა გამოცდილმა ფალავნებმა სოხუმელმა ელდარ კურტანიძემ (97) და გორელმა დავით პოლოსიანმა (63). უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი მთელ შესაძლებლობებს სიდნეიში, ოლიმპიურ თამაშებში გამოავლენენ.

**როგორც ცნობილია,** თავისი მწირი ბიუჯეტიდან სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ჭიდაობის სახეობებს პრიორიტეტულად აფინანსებს. უნდა ითქვას, რომ ამ მიდგომამ გაამართლა. ძიუდოში, მაგალითად, სრული გუნდით წარვსდგებით ოლიმპიადაზე. რა მდგომარეობაა თავისუფალ და ბერძნულ ჭიდაობაში?

აი, რა უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს ჩვენი ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ***ომზარ შოშიტაშვილმა:*** „ატლანტაში ჭიდაობის ორივე სახეობაში 10-10 წონით კატეგორიაში 4-4 მონაწილე გვყავდა, ახლა 8-8 წონაში გაიმართება ოლიმპიური შეჯიბრება და 6-6 მონაწილე გვეყოლება, რაც აშკარა და შთამბეჭდავი პროგრესია.

ამ კვირის ბოლოს მოსკოვში ევროპის პირველობა ჩატარდება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და ლიცენზიის მოპოვების შესაძლებლობა კიდევ გვეძლევა".

## ბიჭები ფინალურ ეტაპზე გასვლისათვის იბრძოლებენ

ქართული კალათბურთის იმედი — ახალგაზრდული ნაკრები, გუშინ მოსკოვიდან გაფრინდა პარიზში, სადაც ხვალ, 11 აპრილს დაიწყება ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრები. ჩვენები საფრანგეთის, რუსეთის, სლოვენიის, პოლონეთისა და თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებთან ერთ ჯგუფში იბრძოლებენ ფინალური საგზურის მოსაპოვებლად. შემადგენლობა, როგორც ხედავთ, ძლიერია, მაგრამ ჩვენი სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ საქართველოს ნაკრებს არ უნდა გაუჭირდეს პირველ სამეულში გასვლა და ფინალის საგზურის მოპოვება. ჩვენს ნაკრებში 12 კალათბურთელია: ნიკოლოზ ცქიტიშვილი, დავით უგრეხელიძე, ირაკლი კეიდია (სამივე — „სლოვან-ლიუბლიანა", სლოვენია), ზაურ ფაჩულია („ულქერსპორი", თურქეთი), გიორგი მარკოიშვილი. შიო ხეცურიანი (ორივე — თსუ), კოტე ტულუში, გიორგი მოისწრაფიშვილი, ბაჩანა სულაძე (სამივე — სტუ), ანატოლი ბერიშვილი (სოხუმის უნივერსიტეტი), ლაშა ბაბიაშვილი („აზოტი") და ლუკა შანიძე („ვითა"). მწვრთნელები — ნიკო ჩერქეზიშვილი და გელა წულაძე.

***შეხვედრათა განრიგი ასეთია: 11.04 საქართველო — საფრანგეთი, 12.04 საქართველო — რუსეთი, 13.04 საქართველო — სლოვენია, 14.04 საქართველო — პოლონეთი, 15.04 საქართველო — თურქეთი.***

***წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს ნაკრებს!***

## ლელო ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

სფფ-სა და „ლელოს" რედაქციის ორმხრივი ხელშეკრულებით, 21 აპრილიდან „ლელოს" ოთხგვერდიან ჩანართად გამოვა „ქართული ფეხბურთი", რომელიც ამავე სახელწოდების გაზეთისა და სფფ-ს ბიულეტენის მემკვიდრე იქნება. მის ფურცლებზე 50-მდე რუბრიკით გაშუქდება საქართველოსა და მსოფლიოს ფეხბურთის ყველაზე აქტუალური საკითხები. ამ გაერთიანებით „ლელოს" სარეალიზაციო ფასი უცვლელი დარჩება.

**21 აპრილიდან თქვენ გელით სიურპრიზი – სიახლე!**



ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები

5

## ხურცილავას შეგირდებმა თავი არ დაზოგეს...

ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები მურთაზ ხურცილავას ხელმძღვანელობით საიმედო გუნდად ჩამოყალიბდა. ახლა ეს მათ საფრანგეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში დაამტკიცეს, სადაც საბოლოოდ მართალია მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს, ყველა მატჩი მონდომებით ჩაატარეს და სპორტული იღბალიც რომ ჰქონოდათ, უთუოდ უკეთეს შედეგს მიაღწევდნენ. პირველი შეხვედრა ქართველებმა ალჟირელებს მოუგეს 3-0, მეორე — დანიელებს, მესამე კი ბრაზილიელებს ერთნაირი ანგარიშით 1-0 აჯობეს. ჩვენები ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ, ნახევარფინალში კი მათი მეტოქე ხორვატიის ნაკრები იყო. სწორედ აქ იჩინა თავი უიღბლობამ — ხორვატიელებმა მატჩი პენალტების სერიით მოიგეს. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში კი ჩვენები ალჟირელებთან ჩაებნენ. ძირითადი დრო 0-0 დასრულდა. საქმე კვლავ თერთმეტმეტრიანებამდე მივიდა, რაც ამჯერად თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენა საქართველოს ნაკრებმა. საბოლოოდ — მესამე საპრიზო ადგილი.

ტურნირზე მიწვეული იყო ქართველი მსაჯი მერაბ მალალურაძე, ფინალურ მატჩს სწორედ ჩვენებური სჯიდა. მალალურაძე ტურნირის ორგანიზატორებმა საუკეთესო არბიტრად აღიარეს.

## ქუთაისში განახლებული სტადიონი გაიხსნა

თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის ქუთაისის ცენტრალური, ამჟამად „ტორპედოს" სტადიონი 7 აპრილს, რეკონსტრუქციის შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა. განახლების სამუშაოები ჩატარდა სპონსორების ხელშეწყობით. ტრიბუნებს ახლა 22 ათასი სავარძელი ამშვენებს, განათება კი ფიფა-უეფას სტანდარტებს შეესაბამება — სიმძლავრე 1200 ლუქსამდე გაიზარდა. განახლებული სტადიონის პრეზენტაციას 15 ათასი მაყურებელი დაესწრო, რომლებმაც ამ დღეს საინტერესო საერთაშორისო ამხანაგური მატჩი იხილეს. ადგილობრივმა „ტორპედომ" სომხეთის „არაქსი" (ქ. არარატი) მიიღო. თავიანთი ქვეყნების უძლიერესი ამ ორი საფეხბურთო კლუბის მატჩი ფრედ 0-0 დამთავრდა.

## საქართველოს რეკორდები მძლეოსნობაში

## (1963–1999 წლები)

სპორტში ეროვნული რეკორდები თავისებური სარკეა სპორტის ამა თუ იმ სახეობის მიღწევების წარმოსაჩენად და ორიენტირი — სამომავლოდ. საშინაო უმაღლესი მიღწევები ამავე დროს, შესაძლებლობას იძლევა იგი საერთაშორისო შედეგებს შეუფარდო და გაანალიზო, მიზნად დაისახო მასთან მიახლოება და გაუმჯობესებაც კი.

მძლეოსნობა სპორტის ის სახეობაა, რომელიც, როგორც იტყვიან, დახუნძლულია რეკორდებით — სპორტის არც ერთ სხვა სახეობაში არ ფიქსირდება იმდენი რეკორდი, რამდენიც „სპორტის დედოფლის" დისციპლინებში.

იყო დრო, როცა საქართველოში დიდი გულმოდგინებით აღინუსხებოდა ყველა უმაღლესი შედეგი — დგებოდა რეკორდების ცხრილი, რაც კარგ სამსახურს უწევდა არა მხოლოდ თვით სპორტსმენებს და მწვრთნელებს, არამედ სპორტის ფუნქციონერებსაც, რომლებიც სპორტის ამ სახეობაში მუშაობის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად გაუმჯობესებულ რეკორდებს მიიჩნევდნენ. ალარაფერს ვამბობთ გულშემატკივართა დაინტერესებაზე.

1963 წლამდე მძლეოსანთა უმაღლესი მიღწევების რეგისტრაციას ეწეოდა სპორტის ამ სახეობის უთვალსაჩინოესი სპეციალისტი, აწ განსვენებული ლევან (ლელიკო) გიორგაძე, რომელიც დიდხანს მუშაობდა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტში. 1963 წელს მან რეკორდების წიგნიც გამოსცა. იმ წლიდან ეს საქმე დავიწყებას მიეცა. შემდეგ კი ტიტანური შრომა გასწია ხსენებული ინსტიტუტის (ამჟამად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია) თანამშრომელმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა **ჰამლეტ ათაბეგოვმა,** რომელმაც მოიძია და შეაჯერა შემდგომი წლების შედეგები. დღეს უკვე ხელთ გვაქვს მძლეოსნობაში საქართველოს რეკორდების ზრდის დინამიკა 1963-1999 წლებში.

„ლელო" დღეიდან იწყებს ამ რეკორდების გამოქვეყნებას ანალიზითურთ, რაც უთუოდ შეავსებს აქამდე არსებულ ხარვეზს.

***იხ. მე–2 გვ.***



*სიგრძეზე ხტომაში ნ. დვალიშვილის რეკორდი – 6 მ, 25 სმ 1954 წლიდან დღემდე დაუძლეველია.*

## სფფ პიონერია

### გაიოზ დარსაძეს კი ალექსანდრე ჩივაძის შეცვლა მოსდომებია...

მთავარი პრიორიტეტი ბავშვთა ფეხბურთი იქნება და ბავშვთა ლიგა აუცილებლად უნდა შეიქმნას — ეს სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას წინასაარჩევნო კამპანიის ლაიტმოტივი იყო გაპრეზიდენტებამდე. საქმე, მართალია, სხვადასხვა მიზეზთა გამო გაჭიანურდა, მაგრამ წინასაარჩევნო დაპირება, რაც მთავარია, შესრულდა — უკვე დაიწყო 1985-86 წ.წ. დაბადებულ ბავშვთა ლიგის გათამაშება და ორი ტურიც ჩატარდა.



**I ტური**

**განათლება (ქუთაისი) — ირაო (თბილისი) 0-1**
**დინამო (ბათუმი) — კახეთი (თელავი) 2-0**
**თბილისი — დინამო (თბილისი) 0-2**
**ლაზიკა (ზუგდიდი) — გაზაფხული (გორი) 1-1**
**გურია (ლანჩხუთი) — ხენაკი 3-0**
**სიონი (ბოლნისი) — იმერეთი (ქუთაისი) 1-0**

**II ტური**



**ირაო — იმერეთი 2-0**
**ხენაკი — სიონი 0-0**
**გაზაფხული — გურია 2-0**
**დინამო (თბ) — ლაზიკა 6-0**
**კახეთი — თბილისი 0-3**
**განათლება — დინამო (ბთ) 1-0**

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ბავშვთა ლიგის ამოქმედება მოვლენაა ქართული ფეხბურთისთვის, რომელსაც ფესვებიდანვე უნდა ვუწამლოთ. ბავშვთა და მოზარდთა კომიტეტს კი სფფ-ში ლევან ყიფიანი ხელმძღვანელობს, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ გვესაუბრა

***იხ. მე–3 გვ.***

## მილოცვა იუბილარს



საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ვეტერან მორაგბეს და მწვრთნელს, შესანიშნავ პიროვნებას ***ნოდარ ყიფიანს*** (მასალა იხ. მე-2 გვერდზე).




# ოლიმპიურ თამაშებს 157 დღე გვაშორებს

მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია. საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

*ედუარდ შევარდნაძე*

კვირას ჩატარებულ საყოველთაო დემოკრატიულ საპრეზიდენტო არჩევნებში ექვსი კანდიდატიდან, წინასწარი მონაცემებით, ყველაზე მეტმა ამომრჩეველმა ხმა მისცა ედუარდ შევარდნაძეს. საბოლოო შედეგები ორ დღეში გახდება ცნობილი.

## შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა: თქვენი გაზეთი წერდა, რომ ქობულეთის საჭადრაკო სკოლა, სადაც ბოლო წლებში მთელი ზაფხულის განმავლობაში არ წყდებოდა ნორჩ მოჭადრაკეთა საინტერესო შეჯიბრებები და ბავშვებიც ისვენებდნენ ზღვის სანაპიროზე, გაქურდეს და დაარბიეს. ჩატარდება თუ არა წლეულს დაგეგმილი მოჭადრაკეთა ასპარეზობები ქობულეთში?**

*თბილისელ მოჭადრაკე ბავშვთა მშობლები*

**პასუხი:** „ლელო“ დაუკავშირდა ქობულეთის საჭადრაკო სკოლის დირექტორს ამირან ბერძენიშვილს, რომელმაც გვაცნობა, რომ საჭადრაკო სკოლას ახალი ბინა გამოუყვეს, მალე სრულად აღადგენენ ინვენტარს, დაგეგმილი წლევანდელი შეჯირებები კი აუცილებლად ჩატარდება. მაგალითად, ივნის-აგვისტოში გაიმართება საჭადრაკო ფესტივალი „ქობულეთი-2000“. გრაფიკი ასეთია:

**1. გენადი ზეინალოვის მემორიალი 16-20 ივნისი;**

**2. საჭადრაკო ფესტივალი „ქობულეთი-2000“ 21-25 ივნისი;**

**3. საჭადრაკო ფესტივალი „საქართველო-2000“ (პირად-გუნდური) 29 ივნისი-3 ივლისი;**

**4. საჭადრაკო ფესტივალი „ივერია-2000“ (პირად-გუნდური) 4-8 ივლისი;**

**5. საქართველოს პირველობა ჭადრაკში 10-14 წლის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის საქ. განათლების სამინისტროს ეგიდით 11-20 ივლისი;**

**6. საქართველოს პირველობა ჭადრაკში 12-16 წლის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის საქ. განათლების სამინისტროს ეგიდით 20-29 ივლისი;**

**7. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „მართვე-2000“ 30 ივლისი — 8 აგვისტო;**

**8. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „რემკა-2000“ 10-19 აგვისტო;**

**9. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ქობულეთი-2000“ 20-29 აგვისტო;**

**10. საერთაშორისო მარათონული ბლიცტურნირი „ქობულეთი-55“ 30 აგვისტო.**



## მესაქირკვლენი

# რაგბი და პიროვნების ღვაწლი

იმ ადამიანებს, ვის სახელთანაც დაკავშირებულია ყამირზე პირველი ხნულის გავლება სპორტის ამა თუ იმ სახეობის დასამკვიდრებლად, შთამომავლობა მუდამ მოწიწებით მოიხსენიებს. ხელბურთისა არ იყოს, ჩვენში რაგბმაც საოცრად მცირე დროში მოიპოვა აღიარება და ახალგაზრდობის რაინდული გატაცების საგანი გახდა.

გივი ძოწენიძე (?) ძოლაშვილი, ნოდარ ყიფიანი, გიორგი ტონია, ჟაკ ასპეკიანი, რეზო მესხი, ჯემალ ბერაძე, ორესტი დიმიტრიადი, ზაურ მგელაძე — ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც მყარი საფუძველი ჩაუყარეს ქართულ რაგბს.

თავად რაგბის თამაში ნოდარ ყიფიანმა 1959 წელს დაიწყო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მწვრთნელ ჟაკ ასპეკიანთან. ამ გუნდის კაპიტანი კი რეზო ზუკაკიშვილი იყო. მაშინ ბევრი სწორედ რაგბის გამო ტოვებდა სხვა სახეობებს. ნოდარმა მძლეოსნობას მიანება თავი, მიატოვა კალათბურთიც, სადაც იგი დიმიტრი ბათიაშვილთან, ჯუმბერ პატიაშვილთან და სხვებთან ერთად თამაშობდა. „სპარტაკის“, „განთიადის“ და თბილისის „ლოკომოტივის“ სარაგბო გუნდებში ნოდარი წარმატებით ასპარეზობდა, როგორც საქართველოს, ისე საკავშირო სარბიელზე.

პირველი დიდი სარაგბო ზეიმი, რომლის შემდეგ სპორტულ სექციებს უამრავი ახალგაზრდა მიაწყდა, თბილისის პირველი ჩემპიონატი იყო. 1961 წელს ამ საჭაშნიკო ასპარეზობაში პოლიტექნიკური, სასოფლო, პედაგოგიური ინსტიტუტებისა, უნივერსიტეტისა და საავიაციო ქარხნის გუნდები მონაწილეობდნენ. პირველი ჩემპიონი პოლიტექნიკოსთა გუნდი გახდა. ნოდარ ყიფიანი გამარჯვებულთა გუნდში თამაშობდა.

მერე საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებების დრო დადგა. ყველაფერი კი ორრაუნდიანი პირველი საქალაქთაშორისო მატჩით დაიწყო. 1962 წელს მოსკოვის ნაკრებმა ჩვენი პოლიტექნიკოსების წინააღმდეგ ითამაშა. მართალია, ჩვენებმა ორივე შეხვედრა დათმეს, მაგრამ ისტორიაში დაფიქსირდა პირველი ლელო არაქართულ გუნდთან, რომელიც ნოდარ ყიფიანის სახელთანაა დაკავშირებული.

პოპულარობამ თავისი გაიტანა და თბილისმა პროფკავშირთა საკავშირო პირველობას უმასპინძლა 1963 წელს. თბილისის „განთიადმა“, რომლის შემადგენლობაში ნოდარი გამოდიოდა, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. საქართველოს გუნდებიდან 1966 წელს საკავშირო სარბიელზე პირველები თბილისის „ლოკომოტივი“ და „დინამო“ გავიდნენ. ნოდარი ჯერ „ლოკომოტივის“ წევრი იყო, შემდეგ — მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა არაერთი ცნობილი მორაგბე. ნოდარის თავკაცობით „ლოკომოტივმა“ მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა პროფკავშირთა საკავშირო პირველობაში 1967 წელს, გახდა საქართველოს ჩემპიონი და ორჯერ მოიპოვა საკავშირო პირველობის ბრინჯაოს მედლები. ამ წარმატებებისთვის მაშინ გუნდის თვრამეტივე მოთამაშეს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება, ნოდარი კი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გახდა. მის სპორტულ ბიოგრაფიაში არის კიდევ ორი მნიშვნელოვანი მოვლენა — პირველი, როცა სსრ კავშირის 30 უძლიერეს მორაგბეთა შორის დასახელდა და მეორე — როცა სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა ლელობურთში, რაც განსაკუთრებით ეამაყება.

1972 წელს, ოჯახური პირობების გამო, ნოდარმა თავი გაანება მწვრთნელობას, მაგრამ ორი წლის შემდეგ კვლავ სთხოვეს დაბრუნებოდა „ლოკომოტივს“, როცა გუნდს საკავშირო გათამაშებიდან („ა“ კლასი) გავარდნა დაემუქრა. დაუბრუნდა, „ლოკომოტივი“ კი კვლავ შემორჩა უმაღლეს ეშელონს.

დღეს ნოდარ ყიფიანი ორი ვაჟიშვილის მამა და ორი შვილიშვილის ბაბუაა.

**ც. ბაქრაძე**



*ბაქო, 1968 წელი. ამიერკავკასიის ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის „ლოკომოტივი“. მარცხნიდან: პირველ რიგში — თემურ რუხაძე, მიხეილ ბენიაშვილი, თამაზ გოგორიშვილი, მურად გეგეშიძე, ვალერი კორნეევი, გელა მიქაბერიძე; დგანან: ლორდი ფაჯიშვილი, ვალენტინ რაფავა, სოსო ჩომახიძე, ზურაბ ხარშილაძე, თენგიზ რუხაძე, მიხეილ კვინიხიძე, ვალტერ კაპანაძე, ნოდარ ყიფიანი, დათო დავითაია.*

## საქართველოს რეკორდები მძლეოსნობაში

*(პირველი გვერდიდან)*

**1963-1999 წლებში მძლეოსნობაში საქართველოს რეკორდების რაოდენობრივად გაუმჯობესების დინამიკა.** *ფრჩხილებში ნაჩვენებია რეკორდების გაუმჯობესების რაოდენობა*

ვაჟები: ***რბენა. 100 მ.*** 1963-1999 წლებში საქართველოს რეკორდი გაუმჯობესდა 5-ჯერ, 200 მ (12), 400 მ (7), 800 მ (5), 1500 მ (10), 3000 მ (2), 5000 მ (9), 10.000 მ (6), 20.000 მ (2), მარათონი (5);

***თარჯრბენი:*** 110 მ (9), 200 მ (2), 400 მ (6), ***3000 მ დაბრკოლებებით*** (2); ***ამანათრბენი.*** 4X100 მ (3), 4X200 მ (3), 4X400 მ (3), 4X800 მ (1), 4X1500 მ (1).

***სპორტული სიარული:*** 10.000 მ (2), 20.000 მ (1), 30.000 მ (2), 50.000 მ (1).

***ხტომა:*** სიმაღლე (4), ჭოკი (7), სიგრძე (2), სამხტომი (7).

***ტყორცნა:*** ბადრო (8), შუბი (5), ურო (14).

***ბირთვის კვრა*** (11). ათჭიდი (5).

ქალები.

***რბენა.*** 100 მ (11), 200 მ (8), 400 მ (5), 800 მ (7), 1500 მ (4), 3000 მ (1); ***თარჯრბენი:*** 80 მ (2), 100 მ (3), 200 მ (3), 400 მ (14).

***სპორტული სიარული*** (1), ***ამანათრბენი:*** 4X100 (3), 4X200 (2), 4X400 (6), ***სიმაღლეზე ხტომა*** (5); ***ტყორცნა:*** ბადრო (6), შუბი (14). ***ბირთვის კვრა*** (8); ***ხუთჭიდი*** (3); ***შვიდჭიდი*** (1).

### წლების მიხედვით რეკორდების რაოდენობა ასე ნაწილდება:

1963 წ (18), 1964 (5), 1965 (10), 1966 (19), 1967 (16), 1968 (10), 1969 (8), 1970 (15), 1971 (11), 1972 (12) 1973 (4), 1974 (0), 1975 (6), 1976 (2), 1977 (7), 1978 (6), 1979 (20), 1980 (10), 1981 (4), 1982 (7), 1983 (21), 1984 (18), 1985 (3), 1986 (7), 1987 (13), 1988 (6), 1989 (2), 1990 (2), 1991 (1), 1992 (0), 1993 (0)...

*(გაგრძელება იქნება)*

# სკოლამდელ დაწესებულებებს მხიარულება უბრუნდება

ერთ დროს ესოდენ პოპულარული საყმაწვილო შეჯიბრება „მხიარული სტარტები“ კვლავ უბრუნდება სკოლამდელთა აღზრდის კერების სპორტულ ცხოვრებას და ამ კეთილი საქმის ერთ-ერთ ინიციატორად თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (გამგებელი მიხეილ სტურუა), განათლების განყოფილება (გამგე მანანა ავალიშვილი) და რაიონის სპორტსკოლა (დირექტორი მიხეილ სუმბათიანი) მოგვევლინა. რაიონის სპორტსკოლის დარბაზში გამართულ ასპარეზობაში 16 სკოლამდელი დაწესებულების 200-მდე აღსაზრდელი მონაწილეობდა. წინასწარ შემუშავებული პროგრამის მთავარი არსი იყო არა გუნდური შეჯიბრება, არამედ მიზნად ისახავდა თითოეული მოზარდის შესაძლებლობების სრულ გამოვლენას, მათში ფიზიკური კულტურის სიყვარულის ჩანერგვას.

ამ ღონისძიებას ესწრებოდა რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზეზვა ღუღუნიშვილი, რომლის სადეპუტატო პროგრამაში ფართოდაა წარმოდგენილი სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული მოზარდი თაობის აღზრდა.

– ასეთი ღონისძიებები ტრადიციად უნდა ვაქციოთ დედაქალაქში. ჩუღურეთის რაიონმა კარგი მაგალითი გვიჩვენა. მოზარდებს, მათ მშობლებს და აღსაზრდელებს ეს ხალისიანი დღე არასოდეს დაავიწყდებათ – თქვა თბილისის განათლების მთავარი სამმართველოს სკოლამდელი დაწესებულების მეთოდისტმა მანანა დადიანიძემ.

**მზია მანაგაძე**







# სფფ პიონერია

## გაიოზ დარსაძეს კი ალექსანდრე ჩივაძის შეცვლა მოსდომებია...

*(პირველი გვერდიდან)*

ბავშვთა ფეხბურთის პრობლემებზე და უშუალოდ ლიგაზეც.

— გვსურს, რომ ჩვენმა მასმედიამ ფართოდ გააშუქოს ბავშვთა ლიგის მატჩები. ამით ყველანი მოვიგებთ. ეს მარტო ბავშვთა კი არა, მთლიანად ფეხბურთის პროპაგანდა იქნება. ინტერესი კი მართლაც დიდია. მაგალითად, ბოლნისში მატჩს 1000 მაყურებელი დაესწრო, ბათუმში — 500, გორშიც საზეიმო ვითარებაში ჩატარდა შეხვედრა...

— მონაწილე 12 გუნდიდან უკვე გამოკვეთილია 2-3 ფავორიტი, რომლებიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ, ჩემპიონატი ორ წრედ ჩატარდება, გაზაფხულ-შემოდგომაზე.

— მომავალში კიდევ ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდება ჩემპიონატი: 1983 და 1987 წ.წ. დაბადებულთა შორის.

— ტურნირის ხარჯებს, რა თქმა უნდა, სფფ კისრულობს. აგრეთვე სათამაშო ფორმებს, მსაჯების ანაზღაურებას...

— მეტად პრობლემატურია ბავშვების მიგრაცია საზღვარგარეთ, წლეულს უკვე 15 ბავშვმა დატოვა საქართველო, რაც ჩვენთვის დიდი ციფრია, თანაც ისინი მაღალი რანგის კლუბებში როდი გადასულან. ჩვენი ბავშვების მიგრაცია ძირითადად რუსეთში ხდება. რუსული კლუბები, ფაქტობრივად, მუქთად იგდებენ ხელში ჩვენს ბავშვებს, 2-3 წლის შემდეგ კი კარგ ფასად აყენებენ მათ ტრანსფერებზე, ხოლო ქართულ ფეხბურთს კი არანაირი გამორჩენა — ჩვენ ამას ხელი უნდა შევუშალოთ, თუმცა საამისო მექანიზმები ჯერ არ გაგვაჩნია. ვფიქრობ ბავშვთა ლიგის შექმნა ამ მხრივაც



ლევან ყიფიანი

გამოგვადგება. ჩვენი ბავშვების პრესტიჟულ უცხოურ კლუბებში სტაჟირებას, რა თქმა უნდა, ხელს არ შევუშლით, მაგრამ ნორჩების მამლუქებად გაყიდვას ბოლო უნდა მოეღოს.

— საფეხბურთო სკოლებს უფლება აქვთ მოითხოვონ საკომპენსაციო თანხა ან ანაზღაურება სათამაშო ინვენტარით. უეფა ამ საკითხს სათანადო ყურადღებას უთმობს და დებულებით შესაძლებელია, დაზარალებულმა კლუბმა 150000 შვეიცარიული ფრანკი მიიღოს გამტყუნებულ მხარისაგან.

— არის შემთხვევები, როცა ბავშვის ტრანსფერში გადახდილი ფული ვიღაცის ჯიბეში მიდის, ნაცვლად იმისა, რომ საფეხბურთო სკოლას მოხმარდეს. სფფ-ს სრული საფუძველი აქვს ჰქონდეს პრეტენზიები, რადგან ბავშვთა ლიგის მატჩების ჩატარება 60 ათასი ლარი უჯდება, ასეთ დროს კი ტრანსფერიდან შემოსულ ფულს ვიღაც იჯიბავს. ასეთ გარიგებებზე ბევრი ითბობს ხელს; წარმოიდგინეთ, ეს ორგანიზებულ ხასიათსაც იძენს ანუ სპეციალური კანტორებიც კი არსებობს.

— დიდ ყურადღებას ვაქცევთ მწვრთნელთა მომზადებას. გვინდოდა, რომ გაიოზ დარსაძე ჩასდგომოდა ამ საქმეს სათავეში — გამხდარიყო მწვრთნელთა მომზადების ცენტრის ხელმძღვანელი. მაგრამ მან სტატუსი მოითხოვა — ტექნიკური დირექტორობა, ანაზღაურებაზე კი არანაირი პრობლემა არ არსებობს. გაიოზ დარსაძის კანდიდატურა საუკეთესოდ მიმაჩნია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ უკვე გვყავს ტექნიკური დირექტორი (ლაპარაკია ჩვენს ნაკრებებზე — **დ.თ.**) — ამ თანამდებობას სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე ითავსებს.

გაიოზ დარსაძე სფფ-ს წინა ხელმძღვანელობის დროსაც იყო ჩაბმული ამ საქმეში, სფფ-ს კუთვნილი ლიტერატურა და ვიდეოკასეტებიც მას აქვს. ისე კი, მწვრთნელთა მომზადების ცენტრის ამოქმედებას წინ ვერაფერი დაუდგება, რადგან უკვე თუ ნაყოფიერად ვითანამშრომლებთ სპორტის აკადემიასთან. გაიოზ დარსაძის თანხმობის შემთხვევაში კი, დროს მოვიგებდით.

— მოგეხსენებათ, ბავშვთა სკოლებს ჩვენში საფეხბურთო მინდვრები არ გააჩნიათ, მაგრამ ამ პრობლემასაც კარგი პირი უჩანს. ჯანი კარნავალე ყაბულსაა, რომ ბავშვთა ლიგის მატჩები ბათუმის მთავარ სტადიონზე გაიმართოს. დავით ყიფიანი კი ნორჩებს „ტორპედოს" ბაზის მინდორს დაუთმობს...

ლევან ყიფიანმა არ დაიზარა და კიდევ რამდენიმე პრობლემატურ თემაზეც გვესაუბრა. ერთ საგაზეთო წერილში კი ნაღდად ძნელია მთელი სპექტრით მოიცვა ბავშვთა ფეხბურთის საკითხები. მთავარია, საქმე დაიძრა და ნორჩთა საფეხბურთო მეურნეობაც ნელ-ნელა დაიხვეწება. თანაც, წინასაარჩევნო დაპირების შესრულება ჩვენთვის მართლაც პიონერულია...

**დათო თავართქილაძე**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### სატონი – „ჩელსიდან" „ტოტენჰემში"

ცნობილი თავდამსხმელი კრის სატონი სეზონის დამთავრებისთანავე „ჩელსიდან" ლონდონურ კლუბ „ტოტენჰემ ჰოტსპურში" გადავა.

სატონი, ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ინგლისელი თავდამსხმელი, ზაფხულში „ჩელსიმ" „ბლეკბერნ როვერსისაგან" შეიძინა. ახალ კლუბში სატონს არაფერი გამოუვიდა, სულ ორი გოლი გაიტანა, ამასთან, გულშემატკივრებმაც აიგდეს და ობსტრუქციას ობსტრუქციაზე უწყობდნენ. მაშინ, მეტი რაღა ჩარა იყო, „ჩელსიმ" მისი გაყიდვა გადაწყვიტა. სატონისადმი ინტერესი სხვა კლუბებმაც გამოავლინეს, მაგრამ უპირატესობა „ტოტენჰემს" მიენიჭება. ამავე კლუბს სურს ნორვეგიელი სოლსკიაერის, ჰოლანდიელ ვან ნისტელროეს და კიეველი რებროვის შეძენაც.

### „ლოკო" 50.000-ით დაჯარიმდა

რუსეთის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო-საკონტროლო ბიურომ ჩერკიზოვოს სტადიონს დისვალიფიკაციის ვერდიქტი გამოუტანა, რის შედეგადაც კლუბმა 50.000 რუბლი ჯარიმა უნდა გადაიხადოს. განხილვის საბაბი იყო რუსეთის უმაღლესი დივიზიონის ჩემპიონატის პირველი მატჩისათვის — „ლოკომოტივი" — ცსკა სარბიელი მზად არ აღმოჩნდა მაყურებლების მისაღებად, რასაც მილიციისა და გულშემატკივრების შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ბიურომ დაადგინა აგრეთვე სარბიელის დისკვალიფიკაცია ჩემპიონატის უახლოეს მატჩში — „ლოკომოტივი" — „კრილია სოვეტოვი" (სამარა).

### რიდლე – „ფულჰემის" სათავეში

ცნობილი თავდამსხმელი კარლ-ჰაინც რიდლე, რომელიც მიმდინარე სეზონში ლონდონის „ფულჰემში" გამოდის, ახლა ამ კლუბის მოთამაშე მწვრთნელი გახდა. საქმე ის არის, რომ კლუბის მესვეურებმა მოხსნეს მთავარი მწვრთნელი პოლ ბრეისველი, რომელმაც მათი იმედები არ გაამართლა.

რიდლე 35 წლისაა და კლუბში წინასწარ გარიგებით მწვრთნელად სეზონის ბოლომდე იმუშავებს. „ფულჰემის" პატრონსა და პრეზიდენტს, მულტიმილიონერ მუჰამედ ალ-ფაიედს სურს მწვრთნელად ჰოლანდიელი რუუდ გულიტი მიიწვიოს. მეორე შესაძლებელი კანდიდატია ლიბერიელი ჯორჯ ვეა. მაგრამ თუ რიდლემ კარგად იმუშავა, შეიძლება სწორედ იგი დარჩეს მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

### „რეალი" გადაიღალა

მადრიდის „რეალის" ფეხბურთელებმა, რომელთაც ორ ფრონტზე, ჩემპიონთა ლიგასა და ეროვნულ ჩემპიონატში უხდებათ ბრძოლა, მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს განუცხადეს, რომ ძალიან დაიღალნენ. უკვე ორთვენახევარია ისინი კვირაში ორ მატჩს ატარებენ და ვეღარ უძლებენ ასეთ რიტმს.

„რაიო ვალეკანოსთან" შეხვედრის წინა დღით ვარჯიშზე დიდი დაკვირვება არ უნდოდა იმის გაგებას, თუ როგორ მდგომარეობაში იყვნენ „რეალის" ფეხბურთელები, ზოგმა საერთოდ უარი თქვა ვარჯიშზე და დელ ბოსკეს წინააღმდეგობა არ გაუწევია. მატჩი „რაიო ვალეკანოსთან" ფრედ 0-0 დამთავრდა, „რეალის" მეტოქე გუნდის ნახევარმცველმა ლუის სემბრანოსმა კი თქვა: „იმის გასაგებად, რომ უკიდურესად გადაღლილები არიან, ბევრი რამ არ არის საჭირო — ჩახედე თვალებში და დარწმუნდები".

### ბლოხინმა კოსოვსკის მოუხმო

ოლეგ ბლოხინმა, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ საბერძნეთში დაბრუნდა და დაინიშნა ათენის „იონიკოსის" მთავარ მწვრთნელად, გუნდში მიიწვია კიევის „დინამოს" ნახევარმცველი ვიტალი კოსოვსკი.

კოსოვსკი უკვე ერთი კვირაა ათენშია და მორიგი კალენდარული მატჩებისათვის ემზადება.

### ვერონის ახალი სტატუსი

„ლაციოს" განთქმული არგენტინელი ნახევარმცველი უახლოეს ხანებში იტალიის მოქალაქეობას მიიღებს. ამით იგი „ლაციოს" უცხოელი ფეხბურთელის მოწვევისათვის კიდევ ერთ ადგილს გაუთავისუფლებს.

### როა ფეხბურთს უბრუნდება

როგორც ესპანური „მალიორკას" პრეზიდენტმა გილიერმო რეინესმა განაცხადა, არგენტინელი მეკარე როა ახლა ემზადება მორიგ მატჩებში მონაწილეობისათვის.

როგორც ცნობილია, არგენტინის ნაკრების მეკარე კარლოს როა ამ გუნდიდან წავიდა თავისი რელიგიური შეხედულებების გამო. იგი მეშვიდე დღის ადვენტისტების რელიგიური სექტის აქტიური წევრია და ერთი წლის წინათ ვერ გამონახა საერთო ენა კლუბის პრეზიდენტთან, მას შაბათობით არც უნდა ევარჯიშა და არც ეთამაშა (ასე იქცევიან ადვენტისტები), ეს კი კლუბის ინტერესებს არ შეესაბამებოდა.

ახლა, ასე იყო თუ ისე, კარლოს რომ გადაწყვიტა კლუბში დაბრუნება, რომელთანაც კონტრაქტი 2002 წლის ივნისამდე აქვს. როგორც კი როა ფეხბურთს დაუბრუნდა, „ვალენსიამ" და „ლა კორუნიამ" მყისვე მიმართეს „მალიორკას" დაუთმონ მეკარე. საორიენტაციო თანხა 10 მილიონი დოლარია.

### ფოცხვერია ჯერ მთლიანად მომზადებული არ არის...

...ასე ფიქრობს ვლადიკავკაზის „ალანიის" მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი. მისი აზრით, მიხეილ ფოცხვერიამ, რომელიც სულ ახლახან ჩაირიცხა „ალანიაში", ვერ შეძლო სეზონისათვის გვარიანად მომზადება და ახლა თანდათანობით უნდა დაეწიოს თანაკლუბელებს. ისე კი...

### ვიქტორ ჩანოვის „მეკარეების სკოლა"

როგორც კიევის „დინამოს" ყოფილმა მეკარემ ვიქტორ ჩანოვმა განაცხადა, იგი კიევში სპეციალიზებულ სკოლას დააარსებს. ამ სკოლაში იმეცადინებენ უკრაინის სხვადასხვა ნაკრებში გამოსვლის კანდიდატი ახალგაზრდა პერსპექტიული მეკარეები.

### „ქართული" გუნდი „ჩკალოვეცი" დაიშალა

რუსეთის პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ მიიღო ნოვოსიბირსკის „ფკ ჩკალოვეცის" პრეზიდენტ ბობროშევის წერილი თხოვნით, მოხსნან ეს გუნდი მეორე დივიზიონის გათამაშებიდან, რადგან უკვე მიღებულია გადაწყვეტილება მისი ლიკვიდაციის შესახებ.

როგორც მკითხველს მოეხსენება, „ჩკალოვეცში" ქართველ ფეხბურთელთა დიდი ჯგუფი იყო, გუნდს კი სერგო იროშაშვილი წვრთნიდა. ჩემპიონატისათვის გუნდი საქართველოში ემზადებოდა.



### რითი არ ჰგავს „ჩელსის"?

ლონდონის „ჩელსი", რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, სანახაობითი თვალსაზრისით (და არა მარტო სანახაობითი) ბრწყინვალე, მომხიბლავ ფეხბურთს თამაშობს, ერთი თავისებურებით გამოირჩევა: მის შემადგენლობაში თითქმის არ არიან... ინგლისელები.

ახლა ჟურნალისტებს საფუძველი მიეცათ განეცხადებინათ, რომ ელისტის „ურალანი" რითი არა ჰგავს „ჩელსის"? ამ ყალმუხურ კლუბში არ არიან ყალმუხები. მოსკოვის „სპარტაკთან" მატჩში „ურალანის" მწვრთნელმა ავერიანოვმა ათამაშა... 11 ლეგიონერი!

### ფინალში: „ასტონ-ვილა" – „ჩელსი"

კვირას ინგლისის თასის ნახევარფინალში ლონდონის „ჩელსიმ" ანგარიშით 2-1 დაამარცხა „ნიუკასლ იუნაიტედი" და გავიდა ფინალში, სადაც მისი მეტოქე ბირმინგემის „ასტონ ვილა" იქნება.

ფინალური მატჩი 20 მაისს გაიმართება.

### „სასიკვდილო განაჩენი"

ესპანეთის ლიგაში უკანასკნელ ადგილზე მყოფი „სევილიის" მცველმა მორსად ხიბიჩმა თქვა: „ყველა მსაჯი ეხმარებოდა და ეხმარება ჩვენს მეტოქეებს, იმიტომ, რომ ჩვენ უკვე მეორე დივიზიონის კლუბად გვთვლიან". ამ სიტყვების სისწორეს ჩემპიონატის ყოველი ახალი მატჩი ამტკიცებს.. ასე, მაგალითად, გათამაშების ლიდერ „ლა კორუნიასთან" შეხვედრაში მსაჯმა მეხუტო გონსალესმა „სევილიას", შეიძლება ითქვას, „სასიკვდილო განაჩენი" გამოუტანა. არ ჩაუთვალა ორი, ყველა წესების შესაბამისად გატანილი გოლი.

მატჩის შემდეგ გააფთრებულმა გულშემატკივრებმა მსაჯი კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს.

### „რეალში" რაღა ესაქმება

მადრიდის „რეალისა" და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა კრისტიან კარამბემ განაცხადა, რომ როგორც კი მიმდინარე სეზონი დამთავრდება, მყისვე დატოვებს „სამეფო კლუბს".

— მე ძირითად შემადგენლობაში ვერა ვხვდები და ამიტომაც ვტოვებ „რეალს". უკვე 29 წლისა ვარ, ბევრი დრო აღარ დამრჩა თამაშისათვის.

ეტყობა, კარამბე ინგლისში ან იტალიაში წავა, თუმცა „კაიზერსლაუტერნისაგანაც" მიიღო წინადადება.

### „ვიალი რომ მყავდეს"

უკვე ამდენი ხანია მადრიდის „რეალს" მთავარი მწვრთნელი არა ჰყავს. ამ მოვალეობას დროებით და არცთუ წარმატებით ვისენტე დელ ბოსკე ასრულებს.

როგორც „რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა განაცხადა, მას ძალიან სურს გუნდის მწვრთნელად ლონდონის „ჩელსის" ახლანდელი ხელმძღვანელი ჯანლუკა ვიალი იხილოს.

### მანქანები დაზიანდა, სხვა არაფერი

„მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველ დევიდ ბექჰემს ხან რა ემართება და ხან რა. ამჯერად იგი მანქანით, სადაც თავისი ერთი წლის ვაჟი ბრუკლინი ეჯდა, თანაგუნდელი ენდი კოულის ავტომანქანას დაეტაკა. ორივე ფეხბურთელი და პატარა ბიჭი, საბედნიეროდ, გადარჩა, მანქანები კი გვარიანად „შელამაზდა".

## უგო სანჩესის კარგი დებიუტი

გამოჩენილ მექსიკელ თავდამსხმელს უგო სანჩესს, რომელიც ადრე მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში ოთხჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი, დიდი პრეტენზიები ჰქონდა ახალ სარბიელზე, როგორც მწვრთნელს. მას უნდოდა სათავეში ჩადგომოდა მადრიდის „რეალს" ან მექსიკის ნაკრებს. როცა აქედან არაფერი გამოვიდა, სანჩესი „პუმას უ. ნ. ა. მ."-ის მწვრთნელის ზომითაც დაკმაყოფილდა და ამ დღეებში კარგი დებიუტიც ჰქონდა — ანგარიშით 3-0 სძლია „ნეკაქსას".



## ტრაგედია დატრიალდა

ფეხბურთის მატჩის დროს ლიმის (პერუ) ეროვნულ სტადიონზე ტრაგედია დატრიალდა. სტადიონის თანამშრომელი, 17 წლის ხოსე მაიტა ტორესი მაყურებლებს ადგილების დაკავებაში ეხმარებოდა, როცა მოულოდნელად პეტარდა მოხვდა, ცეცხლი თმაზე და ტანისამოსზე წაეკიდა. „უნივერსიტარიოსა" და „უნიონ მინუსის" მატჩი, მაშინვე შეწყდა. ადგილობრივმა ტელევიზიამ, პირდაპირ რეპორტაჟში აჩვენა ჭაბუკის სიკვდილის საშინელი კადრები. პეტარდა კი იმისთვის ისროლეს, რომ თითქოს ამით „უნივერსიტარიოს" გატანილ გოლს ზეიმობდნენ. „უნივერსიტარიოს" პრეზიდენტმა ალფრედო გონსალესმა ამ ფაქტის გამო ღრმა მწუხარება გამოთქვა და განაცხადა, რომ კლუბი ტორესის დამარხვის ყველა ხარჯებს გაიღებს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# მოთამაშე–ჯარისკაცი

***იტალიის ჩემპიონატის გათამაშებაში „სკუდეტოს“ საკითხი თითქოსდა გადაწყვეტილი იყო, მაგრამ 27-ე ტურში მოხდა გარდატეხა — „იუვენტუსი“ დამარცხდა „მილანთან“ და ამ წარუმატებლობამ ფსიქოლოგიურად მეტად უარყოფითად იმოქმედა ტურინელებზე. შედეგად, იტალიის ჩემპიონატის ინტრიგა ერთიორად გაიზარდა. ამ მატჩის გმირი ანდრეი შევჩენკო გახლდათ. სწორედ უკრაინელი ფორვარდის დუბლის გამო წაიბორძიკა „ბებერმა ქალბატონმა“***

***ამას წინათ ანდრეი მშობლიურ კიევს ესტუმრა და ინტერვიუც უკრაინის დედაქალაქში შედგა ჟურნალისტ ვიქტორ ბრანიცკისთან.***



შევჩენკო

— „იუვენტუსთან“ შეხვედრამდე სამი წარუმატებელი მატჩი ვითამაშეთ და ლიდერთან გამარჯვებამ, როგორც იტყვიან, სულზე მოგვისწრო და დიდი მორალური ძალა შეგვძინა. თანაც ტურინელთა ძლევამოსილებასაც წყალი შევუყენეთ.

● ***იტალიაში თქვენი პირველივე წარმატებული სეზონის გამო მუსირებს აზრი, რომ უფრო ადრე შეგეძლოთ „დინამოს“ დატოვება და ევროპაში გაჭრა...***

— მადლობელი ვარ ასეთი შეფასებისათვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ კიევის „დინამო“ დროულად დავტოვე, ჩემთვის ყველაზე ხელსაყრელ მომენტში. 1998/99 წლების სეზონისთვის საამისოდ ჯერ კიდევ არ ვიყავი მზად, ხოლო ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გათამაშების შემდეგ დავრწმუნდი ჩემს ძალაში — გამოცდა კარგად ჩავაბარე და მივხვდი, რომ „მილანში“ თამაში არ გამიჭირდებოდა.

● ***საცაა თქვენს პირველ სეზონს ჩაამთავრებთ „მილანში“. კმაყოფილი ხართ თქვენს გარშემო შექმნილი ატმოსფეროთი და როგორ შეადარებდით კიევის „დინამოს“ და „მილანის“ პირობებს?***

— „მილანში“ ძალიან გულთბილად მიმიღეს, მაგრამ გულშემატკივართა მხრიდან უსაზღვროდ დიდ სიყვარულსა და სიძულვილს შორის სულ ერთი პატარა ნაბიჯია. როცა წარმატების შემდეგ მინდორს ვტოვებ, გამოხატული სიყვარული და აპლოდისმენტები, რა თქმა უნდა, ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ წარუმატებლობის შემთხვევაში სჯობს შინ ვიჯდე და ქუჩაში არ გავიდე.

...ძალიან მენატრება კიევი და როგორც კი მომეცემა საშუალება, მყისვე ჩამოვდივარ. მართალია მშობლები, და და სიძე ჩემთან, მილანში ცხოვრობენ, მაგრამ მეგობრებმა და კიევურმა სიტუაციამ თავისებური მონატრება იცის. პირობები კი აქ არაფერ შუაშია, მერწმუნეთ, ეს მთავარი არაა. „მილანში“ იმიტომ გადავედი, რომ დიდი ფეხბურთისკენ გარღვევა მსურდა. ვერ ვიტყვი, ყოველივე ეს შევძელი-მეთქი, მაგრამ იტალიის ჩემპიონატში რომ არ „დავიკარგე“, ეს ფაქტია. აგრეთვე მინდოდა დამემტკიცებინა, რომ უკრაინისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მკვიდრ ფეხბურთელებს ევროპაში წარმატებული კარიერის შექმნა სავსებით ხელეწიფებათ.

● ***ხომ ვერ შეადარებდით „მილანისა“ და კიევის „დინამოს“ სათამაშო კონცეფციებს?***



გარღვევაზე...

— ლობანოვსკიც და ძაკერონიც მხოლოდ წარმატებაზე არიან ფოკუსირებული. მაგრამ საქმისადმი მიდგომა განსხვავებული აქვთ, როგორც ტრადიციები და საფეხბურთო სკოლები. ხოლო თუ რომელია უარესი და რომელი უკეთესი, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის — მე ხომ პროფესიონალი ვარ, მოთამაშე-ჯარისკაცი.

● ***იქნებ ამ გუნდების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები მაინც შეადაროთ ერთმანეთს?***

— ისინი თითქმის ერთნაირია. თუმცა „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა და სარეაბილიტაციო ცენტრი „მილანისაზე“ უფრო თანამედროვეა, სამაგიეროდ, „მილანის“ ბაზა უფრო მყუდრო ადგილასაა განლაგებული.

● ***თქვენ ამ მომენტისთვის „მილანისა“ და საერთოდ, იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ხართ. თანაგუნდელებს შურთ თქვენი?***

— პირადად ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს თუ ვინ გაიტანს გოლს. შესაძლოა სხვას ამის შესახებ განსხვავებული აზრი ჰქონდეს. საერთო ჯამში კი, „მილანში“ კონფლიქტები არ არის.

● ***ამბობენ, „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი თავის იახტას შეგპირდათ, თუ თქვენი გოლების ნუსხა იტალიის ამ ჩემპიონატში 25-ს მაინც გაუტოლდება. მიზანს კი 4 გოლი გაშორებთ...***

— პრეზიდენტი მართლაც დამპირდა თავის იახტას თუ 25 გოლამდე ავალ. მაგრამ აქ ლაპარაკია იახტის ერთი თვით თხოვებაზე და არა ჩუქებაზე, მაგრამ მთავარი ეს ხომ არ არის, მთავარია გოლების გატანა.

● ***იტალიის ჩემპიონატში ჩატარებული 29 ტურის შემდეგ თქვენ 21 გოლი გაქვთ გატანილი. უკრაინის ჩემპიონატში კი ამდენი ტურის შემდეგ ამდენი გოლი არ გაგიტანიათ. რითი ახსნით ამას?***

— ვფიქრობ, საქმე იმაშია, რომ იტალიაში ყოველ თამაშში ასი პროცენტით ვიხარჯები, უკრაინაში კი ხანდახან თავს იმის უფლებას ვაძლევდი, რომ ნახევრად ჩამეთვლიმა. აქედან მოდის შედეგი, რომლის მიღწევაც, მერწმუნეთ, არცთუ ისე იოლია.

ყოველკვირეული „ФУТБОЛ“

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები

***მანუელ რუი სეზარ კოშტა ახლა პორტუგალიის ნაკრების ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ითვლება.***

## მანუელ რუი სეზარ კოშტა



დაიბადა 1972 წლის 29 მარტს ლისაბონში, ნახევარმცველი, 180 სმ, 74 კგ. თამაშობდა „ფაფესა“ (პორტუგალია, 1990-91) და ლისაბონის განთქმულ „ბენფიკაში“ (პორტუგალია, 1991-94). 1994 წელს ჩაირიცხა „ფიორენტინაში“, სადაც დღემდე გამოდის. პორტუგალიის 1993-94 წლების ჩემპიონი, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე. 41 მატჩი პორტუგალიის ნაკრებში (17 გოლი).

აი, რას ამბობს რუი კოშტა საკუთარ თავზე:

— ყოველთვის ვნატრობდი მეთამაშე მეათე ნომრით. ბავშვობაში, ერთხელ ათნომრიან მაისურს დავეპატრონე... მუშტების შემწეობით. მეათე ნომერი განსაკუთრებულია, რაღაც მაგიური ძალა აქვს. იგი ძალებს გმატებს, გავალდებულებს კიდეც. ამ ნომრით ვთამაშობდი „ფაფეშიც“ და „ბენფიკაშიც“. „ფიორენტინაშიც მეათე ნომერი შემთავაზეს, რამაც ერთბაშად აღმაფრთოვანა. იგი პრემიასავით მივიღე.

— ძალიან მიყვარს ავტოგრაფების დარიგება. არავის ვეუბნები უარს. გულშემატკივრისათვის ავტოგრაფზე უარის თქმა მისთვის შეურაცხყოფის მიყენებას ნიშნავს, საკუთარი უპირატესობის ხაზის გასმას. ეს სულაც არ მჩვევია. ვიცი, რომ გულშემატკივრებს შორის პოპულარული ვარ, ვუყვარვარ მათ. სიყვარული კი ორმხრივი უნდა იყოს.

— ჩვენ ნება არა გვაქვს ცუდად გამოვიდეთ ევროპის პირველობაზე, იმიტომ, რომ ჩვენი თაობა, რომელსაც „ოქროსას“ უწოდებენ, მაშინ დაკარგული თაობა გახდება.

სხვათა აზრი რუი კოშტას შესახებ.

***ჯონ ბარნსი (ინგლისი):*** როცა რუი კოშტა ევროპის ჩემპიონატის მატჩებში ვნახე ინგლისში, უმალვე მოვიხიბლე მისი თამაშით. ამ ახალგაზრდას ჰოდლის, პლატინის, ზიკოს მსგავსი თვისებები აქვს. პორტუგალიის ნაკრები შეჯიბრებას ისე მალე რომ არ გამოთიშოდა, რუი კოშტა ევროპის ჩემპიონატის გმირი გახდებოდა.

***აბელ შავიერი (პორტუგალიის ნაკრების მოთამაშე):*** ერთ-ერთ ჟურნალში ვნახე: „ფიორენტინას“ ორი წამყვანი მოთამაშე გაბრიელ ბატისტუტა და რუი კოშტა სერვანტესის რომან „დონ კიხოტის“ მთავარი გმირების სახით. ბატისტუტა — სევდიანი რაინდი, რუი კოშტა — მისი ერთგული საჭურველმტვირთველი სანჩო პანსა. არ ვეთანხმები ამ სურათის ავტორებს. მანოელი კარგა ხანია აღარ არის საჭურველმტვირთველი, მას უკვე აღარ შეეფერება ვირზე ჯდომა, ის რომ პორტუგალიელი არგენტინელის ჩრდილში იმყოფება, ამაში ნაწილობრივ პრესაც არის დამნაშავე. რაც შეეხება რუი კოშტას თანამედროვე ფეხბურთის რაინდად კურთხევას, ეს უნდა დაამტკიცოს უახლოესმა დიდმა შეჯიბრებამ, ევროპის ჩემპიონატმა. ეს საფეხბურთო ფორუმი მისი ტურნირი უნდა გახდეს. რაც შეგვეხება ჩვენ, პორტუგალიელებს, მანოელს არ უნდა ვუმტყუნოთ, იმედები არ უნდა გავუცრუოთ.

***ვიტორიო ჩეკი-გორი („ფიორენტინას“ პრეზიდენტი):*** რუი კოშტასთვის ყველაზე უფრო უპრიანია „ფიორენტინაში“ თამაში. ჩვენს გუნდს სჭირდებოდა მოთამაშე, ისეთი ლიდერი, როგორიც თავის დროზე იყო ჯანკარლო ანტონიონი, ანდა რობერტო ბაჯო. დიდხანს ვეძებდით გამთამაშებელს. ამ როლში გამოვცადეთ შტეფან ეფენბერგი, ბრაიან ლაუდრუპი ის არ იყო რაც გვინდოდა. მაშინ „ბენფიკადან“ რუი კოშტა შევიძინეთ და კმაყოფილიც დავრჩით. ამ ფეხბურთელისადმი კლუბის ხელმძღვანელობას ყველაზე ნაკლები პრეტენზია აქვს. რაც არ უნდა ფული შეგვაძლიონ, პორტუგალიელის დათმობას არ ვაპირებთ.

***ჯოვანი ტრაპატონი („ფიორენტინას“ მთავარი მწვრთნელი):*** მას გასაოცარი ტექნიკა აქვს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იგი ზედმეტად აჩერებს ბურთს. არაფერი ამის მსგავსი. იგი ყველაზე უფრო ჭკვიანი ფეხბურთელია მათ შორის, ვისთანაც კი ოდესმე საქმე მქონია, თამაში მინახავს. იცის, როდის უნდა გადასცეს ბურთი, და ამას ყოველთვის თავისი გუნდისათვის მაქსიმალური სარგებლობით აკეთებს. ბურთი პორტუგალიელს ისე ემორჩილება, რომ ზოგჯერ ფიქრობ კიდეც, ხომ არ ეხმარება მას რაღაც გარეშე ძალები.

***გაბრიელ ბატისტუტა („ფიორენტინას“ კაპიტანი):*** ჩემს მიერ გატანილი გოლების ნახევარს მანოელს ვუმადლი. მან უკვე იცის, სად ვიქნები ორიოდე წამის შემდეგ, ეს მაშინ, როცა მე... ჯერ კიდევ არ ვიცი ამის შესახებ. ფანტასტიკური ინტუიციის პატრონია. რუი კოშტა ავანტურული ყაიდის ფეხბურთელია. იგი ზოგჯერ, პირველი შეხედვით, რთულ გზას ირჩევს: ორი მეტოქის მოტყუებას აპირებს, იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელსაც მისგან არავინ ელის, მათ შორის მეტოქეც. რამდენჯერ გამკვირვებია, რომ იმის ნაცვლად, ბურთი გადაეცა, მანოელი პირდაპირ რამდენიმე მეტოქისაკენ გაემართებოდა ხოლმე და ამ წინასწარ წასაგებ პოზიციაში იმარჯვებდა კიდეც. იგი მხოლოდ ამის შემდეგ გადმომცემდა ბურთს და როგორი სასიამოვნო იყო ყოველივე ამისათვის მისთვის გატანილი გოლით მადლობის გადახდა..

***ლუიშ ფიგუ („ბარსელონისა“ და პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი):*** როცა მანოელი ბურთს ფლობს, იგი თითქმის ყოველთვის ფეხებზე იყურება. ეს ზოგჯერ მწვრთნელების უკმაყოფილებას იწვევს. მაგრამ ჩინებულად გრძნობს ყველაფერს, რაც მინდორზე ხდება. რაღაც არაჩვეულებრივი მხედველობა აქვს: თითქოს ორი თვალი კი არა, ათი.

***ფერნანდუ კოუტუ („ლაციოსა“ და პორტუგალიის ნაკრების მცველი):*** შესანიშნავ შვიდეულს გვიწოდებენ. ვიტორ ბაიას, ფერნანდუ კოუტუს, პაულუ სოუზას, ლუიშ ფიგუს, ფოლიას, ჟოაო პინტუს და რუი კოშტას. ეტყობა, ოდესმე გმირობას ჩავიდენთ, პორტუგალიას რაღაცა ღირსეულს შევძენთ.

***ჯანკარლო ანტონიონი (მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი, „ფიორენტინას“ კაპიტანი 70-80-იან წლებში):*** იგი სულაც არ ჰგავს დღევანდელ საფეხბურთო კერპებს. გამხდარი, თითქმის უკუნთებო, მაგრამ როგორი მშვენიერია თამაშში. რუი კოშტა ნამდვილი შემოქმედია, ესთეტი. იგი ძნელად წარმოსადგენია „მილანის“ ან „იუვენტუსის“ მაისურით, მაგრამ მის გუნდებად უნდა ჩავთვალოთ მომხიბლავი, კარგი გაგებით ავანტურისტული სტილით მოთამაშე „ფიორენტინა“ და პორტუგალიის ნაკრები.

მოამზადა
ბიბი თორელმა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## დიდი ეკრანით ვერ უყურებთ!

ამსტერდამსა და ეინდჰოვენში აიკრძალება ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის დღეებში ქუჩებში დიდი ეკრანების დადგმა. ორგანიზატორები ერიდებიან მეტოქე გუნდების გულშემატკივრების დიდი რაოდენობით თავშეყრას, რომლებიც ერთმანეთის სიახლოვეს იქნებიან. როგორც ყოველთვის, „რისკის ჯგუფში“ პირველ ადგილზე ინგლისელები არიან, რომელთა აგრესიულობამ (მაგალითად ჩხუბმა, რომელიც ტუნისელ გულშემატკივრებთან მარსელის პლაჟზე დიდ მონიტორთან გამართეს) მძიმე პრობლემები შეუქმნეს წინა მსოფლიო ჩემპიონატის ფრანგ ორგანიზატორებს. საორგანიზაციო კომიტეტის შეფასებით, როტერდამში გულშემატკივრების შეჯახების შედარებით ნაკლები საფრთხეა, ამიტომ ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან მოშორებით ორ საშუალო სიდიდის ეკრანს დადგამენ. არნემში, კიდევ ერთ ჰოლანდიურ ქალაქში, რაიმე ექსცესი მოსალოდნელი არ არის, ამიტომ მას რაიმე შეზღუდვა არ ეხება.

## უეფას თასი

UEFA CUP

ნახევარფინალები (პირველი მატჩები)

**გალათასარაი — ლიდს იუნაიტედი 2-0**

*გოლები:* ჰაქან შუქური (12), კაპონე (43).

**არსენალი — ლანსი 1-0**

*გოლი:* ბერხკამპი (2).

## რათა საშინელება არ განმეორდეს

ბელგიელი ხელისუფლები ყოველმხრივ ემზადებიან, რომ ევროპის პირველობაზე არ განმეორდეს ბრიუსელში 15 წლის წინათ ჩემპიონთა თასის ფინალში „ლივერპულსა“ და „იუვენტუსს“ შორის მატჩში დატრიალებული ტრაგედია, რომელმაც 39 ადამიანი იმსხვერპლა. მართალია, სტადიონს რეკონსტრუქციის შემდეგ „ეიზელი“ კი აღარ ჰქვია, არამედ „მეფე ბოდუენი“. რა თქმა უნდა, უშიშროების პრობლემები კვლავ რჩება. ამიტომ 350-მა პოლიციელმა, 200-მა მეხანძრემ, 30-მა წითელი ჯვრის მოხალისემ, 70-მა მცველმა ადგილობრივი სტუდენტების დახმარებით, რომლებიც ხულიგნების როლს თამაშობდნენ, თავისებური წარმოდგენა მოაწყვეს, მოემზადნენ, ასე ვთქვათ, ყველაზე უარესისათვის. როგორც ბრიუსელის მერმა ქსავიე დე დონემ თქვა, მზადებამ წარმატებით ჩაიარა.

# ევროპული ჩემპიონატები



«ბავარია» — «ბაიერი».
რობერტ კოვაჩი პაულო სერჟიოს ადევნება...

## გერმანია • XXVIII ტური

**ბაიერი — ბორუსია 3-1**
*გოლები:* რეინა, 2 (0-1), პაულო რინკი 42 (1-1), პაულო რინკი, 84 (2-1), ბრიდარიჩი, 90 (3-1)).
*გაძევება:* როიტერი, 53 (ბორ.)

**ჰამბურგი — ჰანზა 1-0**
*გოლი:* გროტი, 18.
*გაძევება:* პიკენჰაგენი, 65 (ჰან).

**უნტერჰახინგი — მიუნხენი 1-1**
*გოლები:* ზაიფერტი, 57 (1-0), აგოსტინო, 90 (1-1).
*გაძევება:* შტრაუბე, 37 (უ), გრასოვი, 72 (უ).

**შტუტგარტი — ვოლფსბურგი 2-5**
*გოლები:* კუკა, 8 (1-0), აკპობორი, 10 (1-1), იუსკოვიაკი, 22 (1-2), სოლდო, 29 (2-2), აკპობორი, 67 (2-3), აკპობორი, 85, (2-4) შებეშენი, 90 (2-5).

**ჰერტა — აინტრახტი 1-0**
*გოლი:* პრეეცი, 37.

**შალკე — კაიზერსლაუტერნი 1-2**
*გოლები:* ტარე, 6 (0-1), ლატალი, 17 (1-1), პეტერსონი, 45 (1-2).

**ბაიერნი — ულმი 4-0**
*გოლები:* შოლი, 21, პაულო სერჟიო, 24-პენ., იანკერი, 62, ვოიცეხოვსკი, 85.

**ვერდერი — არმინია 3-1**
*გოლები:* ფრინგსი, 21 (1-0), ჰერცოგი, 41-პენ. (2-0), ფრინგსი, 54 (3-0), ბოდე, 65 (3-1).

**დუისბურგი — ფრაიბურგი 1-2**
*გოლები:* იაშვილი, 48 (0-1), ვოლერტი, 67 (1-1), ვაისჰაუპტი, 88 (1-2).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერი | 28 | 17 | 9 | 2 | 60-30 | 60 |
| ბაიერნი | 28 | 17 | 7 | 4 | 59-23 | 58 |
| ჰამბურგი | 28 | 15 | 9 | 4 | 59-30 | 54 |
| ვერდერი | 28 | 12 | 7 | 9 | 59-44 | 43 |
| კაიზერსლაუტ. | 28 | 13 | 4 | 11 | 42-49 | 43 |
| ჰერტა | 28 | 11 | 9 | 8 | 35-40 | 42 |
| მიუნხენი | 28 | 11 | 8 | 9 | 43-41 | 41 |
| ვოლფსბურგი | 28 | 10 | 11 | 7 | 46-49 | 41 |
| შტუტგარტი | 28 | 12 | 3 | 13 | 33-39 | 39 |
| შალკე | 28 | 8 | 11 | 9 | 38-37 | 35 |
| უნტერჰახინგი | 28 | 9 | 7 | 12 | 33-36 | 34 |
| ფრაიბურგი | 28 | 8 | 9 | 12 | 39-43 | 33 |
| ბორუსია | 28 | 7 | 11 | 10 | 32-30 | 32 |
| ჰანზა | 28 | 6 | 12 | 10 | 35-49 | 30 |
| ულმი | 28 | 8 | 6 | 14 | 30-52 | 30 |
| აინტრახტი | 28 | 8 | 5 | 15 | 31-38 | 29 |
| დუისბურგი | 28 | 4 | 8 | 16 | 32-54 | 20 |
| არმინია | 28 | 4 | 8 | 16 | 29-51 | 20 |

*ბომბარდირები:* კირსტენი („ბაიერი“) — 14; მაქსი („მიუნხენი“), სანდი („შალკე“) — 13-13; აილტონი („ვერდერი“), აკპობორი („ვოლფსბურგი“) — 12-12.

## ინგლისი • XXXII ტური

**ლესტერი — ევერტონი 1-1**
*გოლები:* ტაგერტი, 8 (1-0), ჰათჩისონი, 27 (1-1).

**სანდერლენდი — უიმბლდონი 2-1**
*გოლები:* ქუინი, 54 (1-0), ჰიუზი, 73 (1-1), კილბეინი, 82 (2-1).

**უოტფორდი — დერბი 0-0.**

**ბრედფორდი — საუთჰემპტონი 1-2**
*გოლები:* მარსდენი, 56 (0-1), პახარსი, 76 (0-2), დლეიკი, 77 (1-2).

**ასტონ ვილა — ლიდსი 1-0**
*გოლი:* [illegible], 41.

**ლივერპული — ტოტენჰემი 2-0**
*გოლები:* ბერგერი, 34, ოუენი, 61.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 31 | 21 | 7 | 3 | 76-36 | 70 |
| ლივერპული | 32 | 18 | 8 | 6 | 49-24 | 62 |
| ლიდსი | 32 | 19 | 3 | 10 | 49-35 | 60 |
| არსენალი | 31 | 17 | 6 | 8 | 56-32 | 57 |
| ჩელსი | 31 | 15 | 10 | 6 | 41-26 | 55 |
| ასტონ ვილა | 33 | 14 | 10 | 9 | 37-27 | 52 |
| სანდერლენდი | 32 | 14 | 9 | 9 | 52-47 | 51 |
| ევერტონი | 33 | 11 | 12 | 10 | 54-45 | 45 |
| ვესტ ჰემი | 31 | 12 | 9 | 10 | 42-47 | 45 |
| ნიუკასლი | 31 | 12 | 7 | 12 | 52-44 | 43 |
| ტოტენჰემი | 32 | 12 | 7 | 13 | 47-40 | 43 |
| მიდლსბრო | 31 | 12 | 7 | 12 | 35-42 | 43 |
| ლესტერი | 31 | 12 | 6 | 13 | 44-47 | 42 |
| ქოვენთრი | 32 | 10 | 8 | 14 | 40-42 | 38 |
| საუთჰემპტონი | 32 | 10 | 7 | 15 | 39-55 | 37 |
| დერბი | 32 | 8 | 8 | 16 | 36-46 | 32 |
| უიმბლდონი | 32 | 7 | 11 | 14 | 43-61 | 32 |
| ბრედფორდი | 32 | 6 | 8 | 18 | 29-57 | 26 |
| შეფილდი | 31 | 5 | 6 | 20 | 27-58 | 21 |
| უოტფორდი | 32 | 5 | 5 | 22 | 28-65 | 20 |

*ბომბარდირები:* ფილიპსი („სანდერლენდი“) — 27; შირერი („ნიუკასლი“) — 19; კოული („მანჩესტერი“) — 18; იორკი („მანჩესტერი“) — 17.

## იტალია • XXIX ტური

**ტორინო — პარმა 2-2**
*გოლები:* სომეზე, 19 (1-0), კრესპო, 51 (1-1), მარსიო ამოროზო, 74 (1-2), სილენცი, 75 (2-2).

**უდინეზე — ინტერი 3-0**
*გოლები:* სოსა, 6, სოსა, 45, სოსა, 66.

**პიაჩენცა — ბარი 2-1**
*გოლები:* ჯილარდინო, 27 (1-0), გაუტიერი, 60 (2-0), დ. ანდერსონი, 66 (2-1).
*გაძევება:* კრისტალინი, 90 (პ).

**ბოლონია — იუვენტუსი 0-2**
*გოლები:* კოვაჩევიჩი, 88, პაგანინი, 90-საკ. კარში.
*გაძევება:* ფალკონე, 70 (ბ).

**ლაციო — პერუჯა 1-0**
*გოლი:* ლომბარდო, 48.

**ლეჩე — რომა 0-0**
*გაძევება:* ლუკარელი, 60 (ლ), პიანჯერელი (ლ).

**რეჯინა — ვენეცია 1-0**
*გოლი:* ბოგდანი, 67.

**კალიარი — ვერონა 0-1**
*გოლი:* ფალზინი, 37.

**მილანი — ფიორენტინა 1-1**
*გოლები:* დი ლივიო, 71 (0-1), ლეონარდო, 76 (1-1).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 29 | 18 | 8 | 3 | 42-16 | 62 |
| ლაციო | 29 | 17 | 8 | 4 | 50-26 | 59 |
| მილანი | 29 | 13 | 11 | 5 | 55-36 | 50 |
| პარმა | 29 | 14 | 8 | 7 | 45-34 | 50 |
| ინტერი | 29 | 14 | 7 | 8 | 50-29 | 49 |
| რომა | 29 | 13 | 8 | 8 | 52-31 | 47 |
| უდინეზე | 29 | 12 | 8 | 9 | 51-38 | 44 |
| ფიორენტინა | 29 | 10 | 11 | 8 | 35-34 | 41 |
| ვერონა | 29 | 9 | 9 | 11 | 31-38 | 36 |
| რეჯინა | 29 | 8 | 12 | 9 | 27-34 | 36 |
| პერუჯა | 29 | 10 | 6 | 13 | 30-46 | 36 |
| ბოლონია | 29 | 8 | 11 | 10 | 25-30 | 35 |
| ლეჩე | 29 | 8 | 10 | 11 | 27-37 | 34 |
| ბარი | 29 | 8 | 7 | 14 | 29-43 | 31 |
| ტორინო | 29 | 6 | 10 | 13 | 28-41 | 28 |
| ვენეცია | 29 | 6 | 7 | 16 | 25-48 | 25 |
| პიაჩენცა | 29 | 4 | 8 | 17 | 17-37 | 20 |
| კალიარი | 29 | 3 | 11 | 15 | 25-46 | 20 |

*ბომბარდირები:* შევჩენკო („მილანი“) — 21; კრესპო („პარმა“) — 19; მონტელა („რომა“), ბატისტუტა („ფიორენტინა) — 16-16.

## საფრანგეთი • XXX ტური

**მარსელი — მონაკო 4-2**
*გოლები:* პუქე, 30 (1-0, ბაკაიოკო, 54 (2-0), ტრეზეგე, 60 (2-1), ტრეზეგე, 70 (2-2), ბაკაიოკო, 79 (3-2), ბრანდო, 90 (4-2).
*გაძევება:* დე ლა პენია, 38 (მარ.), ლეონარი, 45 (მონ), გალიარდო, 45 (მონ.).

**ჰავრი — ლიონი 0-1**
*გოლი:* ანდერსონი, 24.

**სენტ ეტიენი — პსჟ 1-1**
*გოლები:* რობერი, 26 (0-1), მასუდი, 37 (1-1).

**სედანი — ბორდო 0-1**
*გოლი:* დიუგარი, 92

**ოსერი — ნანტი 1-1**
*გოლები:* გივარში, 34-პენ. (1-0), სიბირსკი, 47 (1-1).
*გაძევება:* სიჩელსკი, 38 (ო.).

**ბასტია — რენი 4-2**
*გოლები:* ანდრე 17 (1-0), ნონდა, 35 (1-1), ანდრე, 45 (2-1), ლე რუ, 63 (2-2), ნალისი, 72 (3-2), ნე, 74 (4-2).
*გაძევება:* კაზანოვა, 54 (ბ).

**მონპელიე — ტრუა 2-2**
*გოლები:* გუვეია, 14 (1-0), მაულიდა, 18 (2-0), ჯაბარი, 82 (2-1), ლობე, 88 (2-2).

**ნანსი — სტრასბური 2-3**
*გოლები:* ლუინდულა, 45 (0-1), კასკარინო, 53 (1-1), კასკარინო, 65 (2-1), ლუინდულა, 75 (2-2), ბერტინი, 86 (2-3).
*გაძევება:* კასკარინო, 27 (ნ).

**ლანსი — მეცი 1-0**
*გოლი:* სიკორა, 35.
*გაძევება:* ლეტიზი, 80.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 30 | 19 | 4 | 7 | 60-29 | 61 |
| ლიონი | 30 | 15 | 6 | 9 | 38-35 | 51 |
| პსჟ | 30 | 13 | 9 | 8 | 43-36 | 48 |
| ბორდო | 30 | 13 | 8 | 9 | 45-35 | 47 |
| ბასტია | 30 | 11 | 10 | 9 | 39-33 | 43 |
| სედანი | 30 | 12 | 7 | 11 | 38-39 | 43 |
| ოსერი | 30 | 12 | 7 | 11 | 31-33 | 43 |
| სტრასბური | 30 | 12 | 6 | 12 | 40-47 | 42 |
| სენტ ეტიენი | 30 | 11 | 8 | 11 | 41-44 | 41 |
| რენი | 30 | 11 | 7 | 12 | 41-40 | 40 |
| ლანსი | 30 | 17 | 7 | 12 | 32-33 | 40 |
| მარსელი | 30 | 9 | 11 | 10 | 39-39 | 38 |
| მეცი | 30 | 7 | 16 | 8 | 33-29 | 37 |
| ნანტი | 30 | 10 | 6 | 14 | 36-38 | 36 |
| ტრუა | 30 | 11 | 3 | 16 | 30-47 | 36 |
| ნანსი | 30 | 9 | 7 | 14 | 35-40 | 34 |
| ჰავრი | 30 | 9 | 7 | 14 | 28-42 | 34 |
| მონპელიე | 30 | 6 | 9 | 15 | 34-43 | 27 |

*ბომბარდირები:* ანდერსონი („ლიონი“), ტრეზეგე („მონაკო“) — 20-20; სიმონე („მონაკო“) — 16, კრისტიანი (პსჟ) — 15.

## უკრაინა • XIX ტური

**ტავრია — დინამო 1-3**
*გოლები:* პოლიშჩუკი, 18 (1-0), დემეტრაძე, 23 (1-1), იაშკინი, 27 (1-2), რებროვი, 72 (1-3).

**ზირკა — დნეპრი 1-1**
*გოლები:* ზადოროჟნი, 23-პენ. (0-1), კოსე, 55 (1-1).

**მეტალურგი (დ) — კრივბასი 0-0.**

**ჩერნომორეცი — ვორსკლა 1-1**
*გოლები:* ჰუსეინოვი, 10 (1-0), კობზარი, 86 (1-1).

**კარპატი — მეტალურგი (ზ) 1-0**
*გოლი:* ნაზაროვი, 48.

**მეტალისტი — შახტიორი 0-1**
*გოლი:* ვორობეი, 31.

**ცსკა — პრიკარპატიე 2-1**
*გოლები:* სელეზნიოვი, 10 (1-0), გოგილი, 23 (1-1), კოსტიშინი, 65 (2-1).

**ნივა — მეტალურგი (მ) 2-1**
*გოლები:* გაიდაში, 6 (0-1), მაზური, 27 (1-1), ტარიელ კაპანაძე, 49 (2-1).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 17 | 2 | 0 | 49-9 | 53 |
| კრივბასი | 19 | 11 | 6 | 2 | 35-19 | 39 |
| შახტიორი | 19 | 12 | 2 | 5 | 30-9 | 38 |
| ვორსკლა | 19 | 19 | 5 | 4 | 39-19 | 35 |
| მეტალურგი(ზ) | 19 | 8 | 5 | 6 | 24-19 | 29 |
| კარპატი | 19 | 9 | 0 | 10 | 28-27 | 27 |
| მეტალისტი | 19 | 8 | 3 | 8 | 25-24 | 27 |
| მეტალურგი(მ) | 19 | 8 | 1 | 10 | 30-28 | 25 |
| მეტალურგი(დ) | 19 | 6 | 7 | 6 | 22-21 | 25 |
| ცსკა | 19 | 5 | 7 | 7 | 20-22 | 22 |
| პრიკარპატიე | 19 | 5 | 6 | 8 | 16-26 | 21 |
| დნეპრი | 19 | 5 | 6 | 8 | 17-34 | 21 |
| ნივა | 19 | 4 | 6 | 9 | 25-38 | 18 |
| ტავრია | 19 | 4 | 4 | 11 | 22-36 | 16 |
| ჩერნომორეცი | 19 | 4 | 4 | 11 | 9-33 | 16 |
| ზირკა | 19 | 0 | 8 | 11 | 10-36 | 8 |

*ბომბარდირები:* რებროვი („დინამო“) — 14; გეცკო („კარპატი“) — 13; მაზიარი („ვორსკლა“) — 10.

## რუსეთი • III ტური

**სპარტაკი — ლოკომოტივი 0-0**
*გაძევება:* პართიონოვი, 75 (ს), ნიჟეგოროდოვი, 81 (ლ), ევსეევი, 90 (ლ).

**კრილია სოვეტოვი — ცსკა 2-0**
*გოლები:* წიკლაური, 36. კონოვალოვი, 60.

**როტორი — ალანია 2-1**
*გოლები:* მისინი, 17 (1-0), მისინი, 28 (2-0), აშვეთია, 90-პენ. (2-1).

**ფაკელი — ურალანი 1-1**
*გოლები:* ზაზულინი, 62 (1-0), ტერეშჩენკო, 89 (1-1).

**ანჟი — როსტსელმაში 1-0**
*გოლი:* რენჯელოვიჩი, 74.

**ლოკომოტივი (ნ.ნ.) — ზენიტი 1-2**
*გოლები:* პანოვი, 6 (0-1), ვასილიაუსკასი, 24 (1-1), დემენკო, 30 (1-2).

**სატურნი — ჩერნომორეცი 0-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| როტორი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| ლოკომოტ. (მ) | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 7 |
| კრილია სოვ. | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| ზენიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-3 | 6 |
| ჩერნომორეცი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-0 | 5 |
| ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| ანჟი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| ფაკელი | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| როსტსელმაში | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| სატურნი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| ლოკომოტ. (ნ.ნ.) | 0 | 1 | 2 | 2 | 2-4 | 1 |
| ცსკა | 3 | 0 | 1 | 2 | 0-3 | 1 |
| ალანია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| ურალანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |



# გერმანელი „ჯაშუში“ ინგლისელთა ბანაკში

***ასე უწოდებს საკუთარ თავს სიმართლენარევი ხუმრობით ინგლისში მოთამაშე ცნობილი გერმანელი ნახევარმცველი კრისტიან ციგე***

28 წლის ციგე 1990-97 წლებში მიუნხენის „ბაიერნში“ თამაშობდა, 1997-99 წლებში — „მილანში“, 1999 წლის ივლისიდან კი „მიდლსბროში“ გამოდის. მისი მიღწევები: ევროპის 1996 წლის ჩემპიონი, 1996 წლის უეფას თასის მფლობელი, გერმანიის ორგზის (1994, 1997) და იტალიის (1999) ჩემპიონი.

● ***კრისტიან, თქვენი ადგილი გერმანიის ნაკრებში წლების მანძილზე დაჯავშნულად ითვლებოდა. შემდეგ შეწყდა თქვენი გამოძახება. რა იყო მიზეზი?***

— 1998-99 წლების სეზონი ჩემთვის პირდაპირ საშინელი იყო. ავადმყოფობა, დაშავება, სპორტული ფორმიდან ამოვარდნა, ადგილის დათმობა ძირითად შემადგენლობაში. რა ნაკრებზე შეიძლებოდა ლაპარაკი. მესმის ერიხ რიბეკისა, რომელიც აღარ მიწვევდა, ნაკრებში ხომ ისინი უნდა თამაშობდნენ, რომლებიც იმ მომენტში უძლიერესები არიან.

● ***დიახ, მაგრამ ეს სეზონი „მილანისათვის“ წარმატებული იყო.***

— „მილანი“ და ციგე ერთი და იგივე ხომ არ არის. „მილანი“, უნდა ვაღიარო, ჩემთვის შესაფერისი კლუბი არ აღმოჩნდა. შარშანდელ სეზონში მოპოვებულ სკუდეტოს ჩემთვის სიხარული არ მოუტანია.

● ***აგვიხსენით თუ შეიძლება: თქვენ არ იყავით, რომ რამდენიმე წლის წინათ სიხარულით გადახვედით მიუნხენის „ბაიერნიდან“ „მილანში“?***

ძალზე მგრძნობიარე ადამიანი ვარ. გულთან ახლოს მიმაქვს ყველაფერი, რაც კი პირადად მეხება. „მილანში“ ჩემთვის „გარდამტეხი“ „ბარისთან“ მატჩი აღმოჩნდა. თითქოსდა უწყინარ სიტუაციაში ბურთი დავკარგე, რასაც „მილანის“ კარში გოლი მოჰყვა. რა ამბავი ატყდა ამ დროს სტადიონზე! 70 ათასი კაცი აღშფოთდა, ბურთს მივცკარებოდი თუ არა, ყვირილს იწყებდა. მწყევლიდნენ და მაგინებდნენ. ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო დღე ჩემს ცხოვრებაში. იმ დროს მინდოდა სადმე გავქცეულიყავი, ველოდი, რომ შემცვლიდნენ, მიწაში ჩაძვრომას ვნატრობდი. ამ თამაშის შემდეგ „სან-სიროზე“ გამოსვლა აღარ მსიამოვნებდა.

● ***ვინ წამოჭრა საკითხი თქვენი „მიდლსბროში“ გადასვლის შესახებ?***

— ჩემი კონტრაქტი „მილანთან“ კი გრძელდებოდა, მაგრამ ამ კლუბში დარჩენა უკვე აღარ მინდოდა. „მილანი“ არ ჩქარობდა ჩემთან განშორებას, თუმცა, ხელი კი არ შეუშლია. მითხრეს, მაშინვე გამათავისუფლებდნენ, როგორც კი ხელსაყრელ წინადადებას მიიღებდნენ. სხვა საკითხია, ეს მოთხოვნა არსაიდან მოდიოდა. შარშანდელი სეზონის შედეგად „მილანის“ თითქმის ყველაზე უარეს მოთამაშედაც კი ვითვლებოდი, ისე კი, დიდი ფასი მედო. მოულოდნელად „მიდლსბროს“ მთავარმა მწვრთნელმა ბ რაიან რობსონმა დარეკა. სიამოვნებით მივიღე მიწვევა, კლუბს სწრაფად მოველაპარაკე და „მიდლსბროს“ მოთამაშე გავხდი.

● ***კმაყოფილი ხართ?***

— რა თქმა უნდა. ჯერ ერთი, აქ მაფასებენ, ისევე, როგორც ადრინდელ წლებში, ბევრი რამ გამომდის. მეორე — „ძალზე ინგლისური ამპლუა“ მაქვს — განაპირა ნახევარმცველი ვარ, ან, როგორც აქ უწოდებენ, ვინგერი. მესამე კი ის გახლავთ, რომ ნაკრებს დავუბრუნდი, და, ვიმედოვნებ, მას სარგებლობას მოვუტან.

● ***თქვენ უკვე მოუტანეთ გერმანიის ნაკრებს შესარჩევი ტურნირის ფინიშზე ფასდაუდებელი სარგებლობა. რად ღირს მარტო ჰეთ-თრიკი სამხრეთ ირლანდიის ნაკრებთან შეხვედრაში.***

— არ მინდოდა ზედმეტად შემეფასებინა ჩემი როლი ნაკრებში. უბრალოდ, ერიხ რიბეკმა მოახერხა გუნდი გადამწყვეტი მატჩებისათვის საუკეთესოდ მომზადებული მიეყვანა. შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი რომ არ დაგვეკავებინა, ისე, არასწორად გაგვიგებდნენ. გერმანიის ნაკრებს პრესაში ისედაც ხშირად აკრიტიკებენ, ამასთან, ზოგჯერ დაუმსახურებლად.

● ***თქვენ გულისხმობთ კამპანიას პრესაში მას შემდეგ, რაც გერმანიის ნაკრებს კონფედერაციის თასზე დიდი მარცხი ხვდა?***

— დიახ. ვიღებ იმ არგუმენტებს, რომ ასეთი სახელოვანი ისტორიის მქონე ნაკრებს უფლება არა აქვს საერთაშორისო ტურნირებში ესოდენ სუსტად გამოვიდეს. გერმანიის ნაკრები, როგორი ფეხბურთელებიც არ უნდა გამოდიოდნენ მის შემადგენლობაში, გერმანიის ნაკრებად რჩება. ეს ასეა, მაგრამ ახლა სხვა დრო დადგა. ასპროცენტიანი შედეგის მოთხოვნა ახლა შეუძლებელია. რაღაცაზე უარი უნდა ვთქვათ. გერმანიის ნაკრებმა ამხანაგურ და მეორეხარისხოვან მატჩებში



კრისტიან ციგე

დამამცირებელი მარცხი კი განიცადა, მაგრამ მთავარ შედეგს ხომ მიაღწია. ჩვენ ევროპის ჩემპიონატის ფინალისტები და ერთ-ერთი ფავორიტიც ვართ.

● ***თუ წლისყრის შედეგს გავითვალისწინებთ, თქვენი როლი ნაკრებში მეტად თვალსაჩინო ხდება. თქვენ ხომ ინგლისურ ფეხბურთის სხვების გადმოცემით არ იცნობთ.***

— გინდათ თქვათ, რომ ინგლისელთა ბანაკში გერმანელი ჯაშუში ვარ? ჯერ ერთი, მე მარტო არა ვარ, დიტმარ ჰამანს ჩემზე გაცილებით მეტი ინგლისური გამოცდილება აქვს. მეორეც — ინგლისისა და გერმანიის ნაკრებები ისე კარგად იცნობენ ერთმანეთს, რომ ყოველგვარი ჯაშუშობა ზედმეტი ხდება. მესამე — კლუბები და ნაკრები ხომ ერთი და იგივე არ არის.

● ***გახსოვთ პირველი გამოსვლა გერმანიის ნაკრებში?***

— რა თქმა უნდა. ამას ვერასოდეს დაივიწყებ! ეს იყო 1993 წლის 10 ივნისს ვაშინგტონში ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 3-3. განა შეიძლება დავივიწყო გამარჯვება ევროპის 1996 წლის ჩემპიონატში, სადაც ექვსივე შეხვედრა შეუცვლელად ჩავატარე?

● ***ბერტი ფოგტსის ნაკრებში თამაშობდით, ახლა ერიკ რიბეკის გუნდში წამყვან როლს ასრულებთ. ხომ არ შეადარებდით ამ ორ გუნდს?***

— ბერტი ფოგტსთან ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე ვიყავი. ახლა კი 28 წლის ვარ და ვეტერანებს მივეკუთვნები. რიბეკმა რისკი გასწია, გუნდი გააახალგაზრდავა, უარი თქვა მთელ რიგ განთქმულ ვეტერანებზე. შესაძლოა, რიბეკის გუნდი ცოტა „ნედლად“ გამოიყურებოდეს, მაგრამ მას ძალიან კარგი პერსპექტივები აქვს.

● ***ხომ არ გწყინდათ, რომ რიბეკი ამდენ ხანს არ გიწვევდათ ნაკრებში?***

— სრულიადაც არ მწყინს. მით უმეტეს, რომ რიბეკთან ძველი ნაცნობობა მაქვს. სწორედ მან, „ბაიერნს“ რომ 90-იანი წლების დასაწყისში წვრთნიდა, დაინახა ჩემში, სრულიად ჩვეულებრივ ცენტრალურ მცველში, ვინგერის (განაპირა მცველის) ნიჭი. ისე რომ, ახლანდელი კრისტიან ციგედ სწორედ რიბეკის წყალობით ვიქეცი.

მოამზადა
**გივი თორელმა**

## ფორმულა-1

# შუმახერი: ოცდაათი — ოცდაათიდან!



მიხაელ შუმახერი რბოლის შემდეგ

ფორმულა-1-ის 2000 წლის გათამაშება მიხაელ შუმახერის ტრიუმფით დაიწყო. წინა ორ ეტაპზე იოლი გამარჯვების შემდეგ, ახლა მას მართალია, გაუჭირდა, მაგრამ ფინიშთან მაინც პირველი მიიჭრა. სან მარინოს „იმოლას" ტრასაზე დაუნდობელ პაექრობაში შუმახერმა (ფერარი) სულ რაღაც ერთი წამით აჯობა უახლოეს მდევარს მიკა ჰაკინენს, მესამე იყო დევიდ კულტჰარდი (ორივე — მაკლარენი), მეოთხე — რუბენს ბარიჩელი (ფერარი), მეხუთე — ჟაკ ვილნევი (ბარი), მეექვსე — მიკა სალო (ზაუბერი). სამ რბოლაში 30 შესაძლებლიდან შუმახერმა 30 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე მყოფ ბარიჩელოს მთელი 21 ქულით უსწრებს პილოტების ჩემპიონატში. აქ მესამეა ჯანფრანკო ფიზიკელა (ბენეტონი) — 8, მე-4-5 ადგილზე 6-6 ქულით არიან რალფ შუმახერი (უილიამსი) და ჰაკინენი. შემდეგ მოდიან: 6. ვილნევი — 5, 7. ჰაინც ფრენცენი (ჯორდანი) და დევიდ კულტჰარდი (მაკლარენი) — 4-4, 9. იარნო ტრული (ჯორდანი) — 3, 10. რიკარდო ძონტა (ბარი), ბატონი (უილიამსი) და სალო თითო ქულა.

კონსტრუქტორების ჩემპიონატი: 1. ფერარი — 39, 2. მაკლარენი - 10, 3. ბენეტონი — 8, 4. ჯორდანი და უილიამსი 7-7. 6. ბარი — 6, 7. ზაუბერი — 1.

# ასეთი იყო ბოლიდის „ჯადოქარი"

ამ გაზაფხულზე, 21 მარტს 40 წელი შეუსრულდებოდა...

„ინტერლაგოსის" პირველ მოსახვევს, სენას სიცოცხლეშივე მისი სახელი რომ ეწოდა, ახლა „ფორმულა-1"-ის მონაწილენი, გამარჯვების ნიშნად, ხელაწეულნი გადიან სხვა მრბოლები. ასეთ პატივს მიაგებენ ლეგენდარულ ბრაზილიელს, რომლისთვისაც სან-მარინოს ტრასის ეს მონაკვეთი საბედისწერო აღმოჩნდა 90-იანი წლების მსოფლიოს სწორუპოვარი ჩემპიონისთვის.



სამწუხაროდ, ბედისწერამ ხანმოკლე ცხოვრება არგუნა, მაგრამ იგი აღსავსე იყო ბრწყინვალე გამარჯვებებით. პირველი წარმატება, საკმაოდ რთულ პირობებში, თავსხმაში მოიპოვა ეშტორილის (პორტუგალია) ტრასაზე. იქ ძრავა გამოერთო სტარტზე და პირველ მოსახვევზე მე-14 იყო, შემდეგ კი ადვილად გაუსწორდა მეტოქეებს. ამას მოჰყვა 6 გამარჯვება მონაკოს „გრან-პრიზე", აქედან ხუთი ზედიზედ და 1993 წელს ტრიუმფი დონინგტონზე. ყველაზე მთავარი მშობლიურ ბრაზილიაში მოხდა „ინტერლაგოსის" ავტოდრომზე ორჯერ. ორივე გამარჯვება დიდი ნებისყოფის გამოვლინების ჯილდოც იყო, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში გამოიჩინა.

1991 წელს სასწაულებრივად შეინარჩუნა ლიდერობა. სიჩქარის გადამრთველი კოლოფი რომ დაუზიანდა, რიკარდო პატრეზე წრეს წრეზე „ნთქავდა" და ამცირებდა სენასთან ჩამორჩენას, ლიდერის განკარგულებაში მარტო მეექვსე სიჩქარე იყო. ფინიშის შემდეგ სენას ბოლიდი ადგილზე გაშეშდა: „მთლად გამოვიყვანე მწყობრიდან ძრავა და ვერაფრით შევძელი დაქოქვა. ვცადე მოვდუნებულიყავი, მაგრამ მწვავე ტკივილი მხარსა და ფერდში ამის საშუალებას არ მაძლევდა. არ ვიცოდი რა მექნა: მეყვირა, მეტირა თუ მეცინა. ვგრძნობდი, რომ ბრაზილიაში მოგება ჩემი ვალი იყო, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ.

1993 წელს სენას მანქანას მძლავრი ძრავა ჰქონდა, რომლითაც ოსტატურად (მუხრუჭით) გადაუსწრო დაიმონ ჰილს და თავის მეორე და უკანასკნელ გამარჯვებისაკენ გაიჭრა. ფინიშის შემდეგ ხალხი ტრასაზე შეიჭრა და პოდიუმამდე მანქანაში ფეხზე წამოჭრილი ბრაზილიის დროშით, უსაზღვროდ ბედნიერი ესალმებოდა ბრაზილიელებს.

საზეიმო საღამოზე, რომელსაც პელეც ესწრებოდა (სხვათა შორის, სენას პოპულარობა სამშობლოში არაფრით ჩამოუვარდება „ფეხბურთის მეფისას" — *რედ.)* აირტონმა გულით მოილხინა.

**სურათზე:** *აირტონ სენა*

## ჩოგბურთი

# შესვენება ივლისამდე

***კვირას ქ. მალაგაში დამთავრდა დევისის თასის მეოთხედფინალური მატჩი ესპანეთისა და რუსეთის ნაკრებებს შორის. ანგარიშით 4-1 გაიმარჯვეს ესპანელებმა, ამასთან, ევგენი კაფელნიკოვმა ორი შეხვედრა წააგო. ნახევარფინალურ მატჩებში ივლისში, ერთმანეთს შეხვდებიან აშშ — ესპანეთი და ბრაზილია — ავსტრალია.***

### მოქმედი „რეიტინგი"

მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელების მოქმედი „რეიტინგები" დღევანდელი დღისათვის ასეთია (გათვალისწინებულია მხოლოდ წლევანდელი შეჯიბრებები).

***ვაჟები:*** 1. ანდრე აგასი (აშშ) — 249 ქულა. 2. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 223. 3. პიტ სამპრასი (აშშ) — 218. 4. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — 187. 5. მაგნუს ნორმანი (შვეცია) — 185. 6. ნიკოლას კიფერი (გერმანია) — 137. 7. თომას ენკვისტი (შვეცია) — 136. 8. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — 134. 9. ალექს კორეტხა (ესპანეთი) — 131. 10. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — 130. 11. ტიმ ჰენმანი (ინგლისი — 130. 12. ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — 111. 13. იუნეს ელ აინაუი (მაროკო) — 111. 14. მარკ როსე (შვეიცარია) — 102. 15 ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — 99. 16 მარიანო პუერტა (არგენტინა) — 96. 17. უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 93. 18. ჰიშამ არაზი (მაროკო) — 90. 19. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — 87. 20-21. სტეფან კუბეკი (ავსტრია), მაგნუს ლარსონი (შვეცია) — 83-83.

***ქალები:*** 1. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 8,100 ქულა. 2. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 6,046. 3. ვენუს უილიამსი (აშშ) — 3,280. 4. მარი პირსი (საფრანგეთი) — 2,643. 5. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) 2,549. 6. სერენა უილიამსი (აშშ) — 2,488. 7. მონიკა სელეში (აშშ) — 2,177. 8. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 2,076. 9. ჟიული ალარ-დეკიუჟე (საფრანგეთი) — 1.986. 10. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — 1,867. 11. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) — 1,797. 12. ანა კურნიკოვა (რუსეთი) — 1,714. 13. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — 1,701, 14. ბარბარა შეტი (ავსტრია) — 1,678. 15. ამელი მორესმო (საფრანგეთი) — 1,443, 16. ანკე ჰუბერი (გერმანაი) — 1,398. 17. ემი ფრეზერი (აშშ) — 1,381. 18. დომინიკ ვან როოსტი (ბელგია) — 1,352. 19. ამანდა კეცერი (სამხ. აფრ. რესპ.) — 1,343. 20. აი სუგიამა (იაპ.) — 1,320.

### შემოწმებას მონაწილეთა ნახევარი გაივლის

მსოფლიო დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტომ (WADA) სიდნეის ოლიმპიადის მოახლოებასთან დაკავშირებით გამოაცხადა, რომ თამაშების დაწყებამდე, ვარჯიშის დროს დოპინგკონტროლს გაივლის 2.500 სპორტსმენი. ე.ი. მომავალი ოლიმპიელების ნახევარზე მეტი. ტესტირება დაიწყება აპრილში და დამთავრდება ივლისში.

### სპორტის დედოფალი ლონდონს ეწვევა

როგორც მძლეოსნობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა ლამინ დიაკმა ჟურნალისტებს განუცხადა, ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მსოფლიოს 2005 წლის საზაფხულო პირველობა მძლეოსნობაში ლონდონში გაიმართება. ინგლისის დედაქალაქი ამ შეჯიბრების ჩატარების ერთადერთი პრეტენდენტი იყო.

### ნბა

***6 აპრილი:*** ნიუ იორკი — ვაშინგტონი 101:92; მაიამი — შარლოტი 76:70; ჩიკაგო — მილუოკი 90:88; დენვერი — დალასი 115:116 (დ.დ.); იუტა — ფინიქსი 105:85; კლიპერსი — მინესოტა 90:112; ვანკუვერი — პორტლენდი 89:87.

***7 აპრილი:*** ბოსტონი — ფილადელფია 97:102; ნიუ ჯერსი — მაიამი 85:103; ორლანდო — ნიუ-იორკი 89:96; შარლოტი — დეტროიტი 82:97; ატლანტა — ტორონტო 84:104; ინდიანა — კლივლენდი 95:94; საკრამენტო — მინესოტა 92:95; სიეტლი — ჰიუსტონი 116:119; გოლდენ სტეიტი — იუტა 84:105

***8 აპრილი:*** ვაშინგტონი — ატლანტა 108:98; კლივლენდი — დეტროიტი 117:98; ჩიკაგო — ტორონტო 79:98; მილუოკი — ნიუ ჯერსი 109:101; დალასი — კლიპერსი 98:96; დენვერი — სიეტლი 105:97; ლეიკერსი — სან ანტონიო 80:98; პორტლენდი — ვანკუვერი 98:85.

***9 აპრილი:*** ორლანდო — ფილადელფია 92:80; მაიამი — ნიუ იორკი 95:94 (დ.დ.); შარლოტი — ინდიანა 96:80; ჰიუსტონი — იუტა 99:90; ვანკუვერი — სან ანტონიო 99:107.

**ვეფხვია ჯალაღონია**

### მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**11 აპრილი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საფეხბურთო მიმოხილვა (12.15), ***კავკასია.*** „სპორტის სამყარო" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***НТВ плюс футбол.*** სანპაულოს ჩემპიონატი. „კორინტიანსი" – „სანტოსი" (13.15), ესპანეთის (15.00, 20.40, 0.55), გერმანიის (16.40, 22.55), ინგლისის (17.40), საფრანგეთის (19.35), ბრაზილიის (21.10) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. დევისის თასი (12.10, 14.45), სპორტული ცეკვა, ევროპის ჩემპიონატი (22.30). ***ESPN.*** ფეხბურთი: ჰოლანდიის (13.30, 23.25), ჩემპიონთა ლიგის (17.30), ინგლისის (19.00), აშშ-ის (22.30), იტალიის (01.30) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** წყალხტომა. მსოფლიოს თასი (11.30, 18.30), ფეხბურთი. ევროგოლები (15.00), წყალხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი (20.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი იაპონიიდან (2.00).

**12 აპრილი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (20.00). ***კავკასია.*** „სპორტის სამყარო" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13.15), გერმანიის (13.45, 22.55), ბრაზილიის (18.30, 19.15), იტალიის (21.45) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** სპორტული ცეკვა. ევროპის ჩემპიონატი (11.40), ჩოგბურთი. დევისის თასი (15.05). ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (08.00), ჰოლანდიის ჩემპიონატი (04.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (11.30), ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (15.00), სამთო ველორბოლა (16.00), ველოსპორტი. მსოფლიო თასი (16.30), ფეხბურთი. საფრანგეთის თასი (0.00), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი იაპონიიდან (2.00).

**13 აპრილი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** სპორტის სამყარო (18.00). „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის (15.00, 1.10), ბრაზილიის (16.45), გერმანიის (17.15), ბრაზილიიდან – „ბოტაფოგო" – „ფლამენგო" (19.50), ინგლისის (0.15) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** აკრობატიკა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.35), სპორტული ცეკვა. „გრან-პრი" პროფესიონალთა შორის (23.00). ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (17.00); აშშ-ის (18.00), ჰოლანდიის (18.30) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00), ბილიარდი. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი (23.00), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი იაპონიიდან (2.00).

## „ტოტო-ლოტო"

**მე-13 ტირაჟის შედეგები 9.04.2000**

### ლოტო 6-42

**1, 7, 23, 29, 35, 38**

გათამაშებაში მონაწილეობდა 9454 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 23 744.16 ლ. | გადადის მე-14 ტირაჟზე |
| 5 რიცხვი | 1 x | 548.40 ლ. | |
| 4 რიცხვი | 14 x | 16.80 ლ. | |
| 3 რიცხვი | 227 x | 1.80 ლ. | |

### სუპერ 7

**9 1 1 5 2 0 7**

| | |
|---|---|
| 9115207 | 50 000 ლარი |
| 115207 | 15 000 ლარი |
| 15207 | 5 000 ლარი |
| 5207 | 500 ლარი |
| 207 | 50 ლარი |
| 07 | 3 ლარი |
| 7 | 50 თეთრი |

### „ტოტო-ფეხბურთი" 12 მატჩი

**1 1 2 2 X X 1 2 2 1 X X**

გათამაშებაში მონაწილეობდა 4682 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 5000.00 ლ. | გადადის მე-14 ტირაჟზე |
| 11 შედეგი | 4 x | 232.20 ლ. | |
| 10 შედეგი | 19 x | 36.20 ლ. | |

### „ტოტო-ფეხბურთი" 11 მატჩი

**1 0 0 1 1 2 0 2 2 2 0**

გათამაშებაში მონაწილეობდა 3883 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 1080.00 ლ. | გადადის მე-14 ტირაჟზე |
| 10 შედეგი | 0 x | 161.80 ლ. | გადადის მე-14 ტირაჟზე |
| 9 შედეგი | 19 x | 8.50 ლ. | |

**მე-14 ტირაჟის პროგრამა 15–16 აპრილი**

### „ტოტო-ფეხბურთი 12"

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ინგ. | [illegible] | [illegible] | 20-20-60 |
| 2. ინგ. | ტოტენჰემი | მიდლსბრო | 40-40-20 |
| 3. ინგ. | ლიდსი | არსენალი | 40-30-30 |
| 4. იტ. | ტორინო | მილანი | 20-20-60 |
| 5. იტ. | ფიორენტინა | ლაციო | 20-40-40 |
| 6. იტ. | ინტერი | იუვენტუსი | 30-40-30 |
| 7. გერ. | [illegible] | [illegible] | 60-20-20 |
| 8. გერ. | უნტერჰახინგი | [illegible] | 50-30-20 |
| 9. გერ. | [illegible] | [illegible] | 30-40-30 |
| 10. ესპ. | ოვიედო | ბარსელონა | 20-20-60 |
| 11. ესპ. | რაიო ვალეკანო | დეპორტივო | 20-40-40 |
| 12. ესპ. | სევილია | ვალენსია | 30-30-40 |

### „ტოტო-ფეხბურთი 11"

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ინგ. | მანჩესტერი | სანდერლენდი | 60-20-20 |
| 2. ინგ. | უიმბლდონი | ლივერპული | 20-30-50 |
| 3. იტ. | ვერონა | უდინეზე | 30-40-30 |
| 4. იტ. | რომა | ბოლონია | 50-30-20 |
| 5. გერ. | ჰამბურგი | ვერდერი | 50-30-20 |
| 6. გერ. | შტუტგარტი | ფრაიბურგი | 60-20-20 |
| 7. ესპ. | სოსიედადი | ბილბაო | 40-30-30 |
| 8. ესპ. | სარაგოსა | რეალი | 40-30-30 |
| 9. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-40-40 |
| 10. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-20-60 |
| 11. [illegible] | [illegible] | [illegible] | 30-40-30 |

მე-14 ტირაჟის ბილეთები რეალიზაციაში გავა 14 აპრილს [illegible]

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს თანამშრომელს ალექსანდრე კოტორაშვილს ბიძაშვილის **თეიმურაზ კოტორაშვილის** გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა ხუთშაბათს, 13 აპრილს ახმეტაში, 14 საათზე.

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტის 1962 წლის გამოშვება თანაგრძნობას უცხადებენ თანაკურსელს ჯემალ გუნიას **დედის** გარდაცვალების გამო.
პანაშვიდი 11 და 12.04, 17 სთ. დაკრძალვა 13.04 15 სთ-ზე (მისამართი: ჯავახიშვილის 84, ყოფილი კალინინის ქუჩა).

### საჭადრაკო ამოცანა

**ო. მამულაშვილი**

(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. e6! მფd6 2. კc5+ მფd5 3. c4X.
1. ...cd 2. ed — 3. d8ლX.
1. ...d6 2. კg1 c4 3. bcX.
1. ...de 2. კe5 fe 3. ეd1X.

## კროსვორდი №29 • შერეული



**თარაზულად:** 7. სამბოს მოჭიდავე ან... 8. ქართველი ძიუდოისტი, 1980 წლის ოლ. თამაშების პრიზიორი, 10. ცნობილი კანადელი მძლეოსანი — სპრინტერი, 11. ცნობილი მთიანეთი რუსეთში, 12. ქართველი ძალოსანი, რომელმაც მოიპოვა სიდნეის ლიცენზია, 15. მძლეოსნური იარაღი, 16. „ნიუკასლის" ფეხბურთელი, ინგლისის ნაკრების ბომბარდირი. 17. ტერმინი ძიუდოში, 18. საჭადრაკო შეჯიბრებების გამართვის ცნობილი კურორტ-ქალაქი ფილიპინებში, 22. არასაიამოვნო შედეგი ჭადრაკში, 23. ცხენის კეთილად გამწვრთნელი (საბა), 27. ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი 1998 წლის მჩ-ზე, 29. ცნობილი მდინარე ევროპაში, 30. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე ვაჟი, 31. ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია, 32. რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი 1998 წლის მჩ-ზე.

**შვეულად:** 1. ესპანეთის ცნობილი საფეხბურთო გუნდი, 2. შეჯიბრების ნაირსახეობები სიჩქარეში, 3. რუკების კრებული, 4. ქართველი ფეხბურთელი-მეკარე, თამაშობდა თბილისის „დინამოში", 5. ცურვის ყიდა, 9. ფეხბურთელი-მეკარე, თამაშობდა თბილისის „დინამოში", 6. ცნობილი დანიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 13. საქართველოს მთიანი რეგიონი, 14. საქართველოს ფეხბურთის ნაკრების მწვრთნელი, 19. ნარკოტიკებს გადაყოლილი ფეხბურთის ვარსკვლავი, 20. ნბა-ს ლეგენდარული კალათბურთელი, 21. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 24. ქართველთა ადგილი და განსასვენებელი საფრანგეთში, 25. აფრიკის სახელმწიფო, 26. იგივეა, რაც ჰუკი — კრივში, 28. აზიის ქვეყანა, უმასპინძლებს ფეხბურთში მომავალი მჩ მატჩებს.

### კროსვორდი №28-ის პასუხები

**თარაზულად:** 7 ბალავაძე, 8. ექსპერტი, 10 „პერტა", 11. აბატი, 12. ხრიდოლი, 15 ინტერი, 16. სტარტი, 17 შამონი, 18. შანიძე, 22. გომესი, 23. ორძელი, 27. ბარტეზი, 29. შავლო, 30. მედეა, 31. გიორგაძე, 32. ატესტატი. **შვეულად:** 1 კამერუნი, 2. სალტო, 3. უძლური, 4. სქოული, 5. ლეიბი, 6. სტატისტი, 9. ალდაგი, 13. არამისი, 14. სტაიერი, 19. ჟორდანია, 20. პარტია, 21. კლემენტე, 24. ნავაძე, 25. აზარტი, 26. ილორი, 28. გენტი.

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშნიძე.